# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 9 თებერვალი 2007 №28 (2951) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# მე მიხარია, რომ თქვენ გიხარიათ

## ჩიხურას ბედი საჩხერის ქვიშაზე წერია

### ეროვნული ჩემპიონატი ითარსება: 14 თუ 13?



საჩხერის „ჩიხურა“ მეორე წრეში მნიშვნელოვნად გაძლიერდებაო, გეხსომებათ ეს ხმები... არადა, ისე გაიარა საშობაო-საახალწლო დღესასწაულებმა და თებერვლის „ხეში წყლის ჩადგომამ“, „ჩიხურა“ საერთოდ არ შეკრებილა.

დღეს-ხვალ, დღეს-ხვალო და, აღარ დაადგა საშველი... და აგერ, სპონსორმა „ქართუ ბანკმა“ კლუბის დაფინანსებაზე უარი თქვა.

„ჩიხურას“ უფროსი ბადრი ბრეგვაძე: „18 თებერვალს „სიონთან“ სათასო მატჩი გვიწევს, მაგრამ დიდი შანსია, ვერ ვითამაშოთ. პროფლიგა ყოველდღე გვეხმიანება, მორალურად მხარში გვიდგას, მაგრამ 15 თებერვლამდე მაინც უნდა ვაცნობოთ, გავაგრძელებთ თუ არა უმაღლეს ლიგაში თამაშს. დღესდღეობით ამის საშუალება არ გვაქვს. კლუბის ხაზინაში მხოლოდ 30-40 ათასი ლარია, რაც ვერანაირად ვერ გაგვწვდება. ჯერ კიდევ ვიტოვებთ პატარა იმედს, ვნახოთ...“



ირაკლი ლაბაძე



ლადო ჩიხლაძე

## დევისის თასი 2007. 9-11 თებერვალი

## საქართველო VS პორტუგალია

კარგი დღეებია — წინა შაბათს მორაგბეებმა მოიგეს რუმინეთში, ოთხშაბათს ფეხბურთელებმა დაჯაბნეს თურქები და ახლა ჯერი ჩოგბურთელებზეა.

საქართველოს სადევისთასო ნაკრებმა შარშან უკვე გააკეთა დიდი საქმე, როდესაც ზედიზედ სძლია სამხრეთ აფრიკას, პოლონეთს, უნგრეთს და ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ააღწია.

ახლა ამ ჯგუფში დამკვიდრებაა საქმე და საამისოდ ქართველებმა პორტუგალიელებს უნდა მოუგონ.

თბილისის სპორტის სასახლეში ხალიჩაა გაშლილი. ესე იგი, მატჩი სწრაფ კორტზე გაიმართება და ეს საფარი ჩვენია. ტრიბუნებიც ჩვენია და პორტუგალიელთა ლიდერი ფედერიკო ჟილი ამ წუთისთვის ირაკლი ლაბაძეზე მაღლა კი დგას ATP-ის რეიტინგში, მაგრამ ირაკლისნაირი წარმატებებითა და გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის. სხვა მხრივ, რეიტინგიც ჩვენია და ახლა მთავარი ისაა, ქართველი ჩოგბურთელები ამ ყველაფერს როგორ გამოიყენებენ თამაშისას.




# გოგუას შემოსვლა

**რთული** თამაში იყო ეს თურქებთან თამაში და მისი გარჩევა შორს წაგვიყვანდა.

თამაშის რამდენიმე ხილულ ამბავს შორის ყველაზე მთავარი იყო გოგიტა გოგუას შემოსვლა.

ბიჭმა გოლი გააკეთა. ამ გოლმა თამაში მოიგო.

გოგუას შემოსვლა მართლა შემოსვლა იყო. საჯარიმოც მაგარი დაარტყა, მერე მარცხნიდან საუცხოოდ შევიდა და კიდევ უფრო მაგრად დაკიდა. ის რალაცნაირად ისეთი ცინცხალი და თანამედროვე იყო ამ გადამწყვეტ მომენტში, რომ, თუ არ დავმალავთ, „ჰართსისთვის" დამენანა კიდეც. იმაზე ალარაფერს ვამბობ, სადაც თამაში უწევს თუ მოუწევს.

საერთოდ კიდევ, შთამბეჭდავი შემოსვლები ფეხბურთის იოლად დასამახსოვრებელი მომენტებია. ისინი არასდროს გავიწყდება. აგე, რამდენი დრო გავიდა და მაინც ყოველთვის იტყვი: რუმენიგე რო შევიდა ფრანგებთან ოთხმოცდაორ წელს.

ხშირად გამიგონია, შეცვლების ხარჯზე მოგებული თამაში ლატარიაა. რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები, მაგრამ ახლა დავას აზრი არა აქვს უბრალოდ, ძალიან მინდა, რომ გოგუა ვარსკვლავი გახდეს, რადგან მისი შემოსვლა ოთხშაბათ სალამოს ნამდვილად ვარსკვლავური იყო.

თამაში გააკეთაო თუ როგორ იტყვიან, შედეგი გააკეთაო.

რაც გააკეთა, ლამაზიც იყო და მნიშვნელოვანიც, იმიტომ, რომ, როგორც გამოჩნდა, საქართველოს ნაკრები სულაც არ უყურებდა ამ თამაშს როგორც ამხანაგურს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამასწინათ გოგუას „ჰართსის" ტრანსფერი ჩაეშალა. მოედანზე ამ განწყობის კვალიც არ იყო. საქმარისია, აბა, რა!

**ირაკლი გამყრელიძე**

გურჯისტანი თურქული ფურცლებიდან

# გვეკადრება? თერიმს კადრები დაუწუნეს

**საქართველომ** მოუგო თურქეთს, მაგრამ თურქებისთვის ეს ჩვეულებრივი მარცხი არ იყო, რადგან ისინი ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში მარტში ბერძნებს ეთამაშებიან სტუმრად და ქართველებთან სპარინგს სულ სხვა თვალით უყურებდნენ. როგორ შეხვდა წაგებას თურქული პრესა?

*გაზეთ „ჰურიეტის" მიმომხილველ ალტან ტარანიკულეს* აზრით, თუგაის ძირითად შემადგენლობაში თამაში ფათიჰ თერიმის უმთავრესი შეცდომა იყო. მიზეზი? სამი წელიწადია, თუგაი ნაკრებში არ გამოუძახიათ და, გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, გუნდში ვერ ჩაეწერა. ტარანიკულუ ამბობს, რომ მოედნის ცენტრში ბურთის დაუფლების შემდეგ ცენტრალური ნახევარმცველები თუგაის თამადობით პასს აგვიანებდნენ, ამიტომ თუგაის ძირითად შემადგენლობაში თამაში არ შეიძლებოდა. ბოლო, მთავარი, საგოლე პასის მიმცემი არ გვყავდა და თუ ეს გადაცემა კეთდებოდა, კარში ზუსტად ვერავინ ურტყამდა, რადგან ჰაკან შუქური გვაკლდა, თუნჯაი სანლი კი ფორმაში არ იყოო.

*ამავე გაზეთის ჟურნალისტი ილჰან სოილერი:* „ისევ აშკარაა ნაკრებში მცველებს შორის შეუთამაშებლობა. ფათიჰ თერიმმა თითქოს შეკრა დაცვის ხაზი, მაგრამ გამოჩნდა, რომ ასე არ არის. სერვეთი და აიდინი კვლავ ვერ უგებენ ერთმანეთს. ბურთის მოგერიებაში კარგები არიან, მაგრამ სწორ პასს ვერ აკეთებენ. ალბათ, თერიმი ამას შენიშნავს და საბერძნეთთან ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩისთვის ვითარებას გამოასწორებს."

*კორკუტ გოზე:* „რამდენიმე ეპიზოდში ჩვენი გუნდის ფეხბურთელები წითელ ბარათს იმსახურებდნენ, მაგრამ გადარჩნენ. სწორედ ეს მაფიქრებს, რადგან მომდევნო მატჩში საბერძნეთთან ამას ალბათ არ გვაპატიებენ. საქართველოსთან თამაში რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ".

*ქემალ იაშარი:* „ამხანაგურ მატჩებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჩვენი სისუსტე. ფათიჰ თერიმის შეგირდებმა დავალება ვერ შეასრულეს. არ გამოუვიდათ თამაში ისე, როგორც თერიმს სურდა და თურქეთს ეკადრება. მიუხედავად ამისა, ამხანაგური მატჩი იყო და დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რადგან გადამწყვეტ შეხვედრებში სხვანაირად ვითამაშებთ. ყველაზე მეტად თუნჯაის და არდას არხეინობამ გამაბრაზა. ისე დასეირნობდნენ, არიქა, ოლონდ თამაში მორჩეს და მეტი არაფერი გვადარდებსო. თავის კლუბებში ოფლს ღვრიან, ნაკრები კი ფეხებზე დაიკიდეს".

*გაზეთი „საბაჰ":* „ფათიჰ თერიმმა სარეკორდო, 55-ე მატჩი საქართველოსთან წააგო. თურქეთის ნაკრებმა ბოლოს ჩხუბი ატეხა, რაც იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთთან, შემდეგ კი ნორვეგიასთან მატჩებისთვის ფსიქოლოგიურად მზად არ არიან."

*გაზეთი „ტაკვიმი":* „ჩვენებმა ცუდად ითამაშეს. ერთადერთი ნალდი საგოლე მომენტი მეორე ტაიმში გოკდენიზს ჰქონდა. სირაძეს დარტყმის მომგერიებელი კი ვოლკანი არ იყო. ამგვარად, საქართველოსთან პირველი, ისტორიული მარცხი ვიგემეთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

## ამხანაგური მატჩები

სენეგალი 2:1 ბენინი
ვენესუელა 0:1 ჩილე
კოლუმბია 1:3 ურუგვაი
აშშ 2:0 მექსიკა

**ახალგაზრდულები (U-21)**
პოლანდია 1:3 დანია
სლოვენია 4:1 ესტონეთი
პორტუგალია 1:1 ჩეხეთი

# რა ვართ ეს თურქები, ჭკუა ვერ ვისწავლეთ

**დრო** იყო, „ფენერბაჰჩე" ფრანგულ „კანთან" უეფას თასზე 0:5-ს რომ წააგებდა, ჩაიხანაში შეკრებილი თურქი გულშემატკივარი ხელს ჩაიქნევდა და ხუმრობდა, ღორის ხორცის ჭამას სანამ არ დავიწყებთ, არაფერი გვეშველებაო.

„კანთან" მარცხს რალაც უცნაური ახსნას მოუძებნიდნენ და არავინ ბრაზდებოდა, იცოდნენ, რომ მათი გუნდი ევროპულ დონეს ძალიან ჩამორჩებოდა.

ამ ხუმრობა-ხუმრობაში, ღორის ხორცის გარეშე და ფეხბურთის სწორად თამაშის სწავლით, თურქულმა ფეხბურთმა იქამდე მიაღწია, რომ 1996-ში ევროპის ჩემპიონატზე გავიდა, ხოლო 2000-ში „გალათასარაიმ" უეფას თასი მოიგო. ორივე შემთხვევაში ამ წარმატების თავი ფათიჰ თერიმი იყო, კაცი, რომელიც გუშინწინ თურქეთის ნაკრების მეთორმეტე მოთამაშედ იქცა და ლამის გუნდთან ერთად 90 წუთი მოედანზე გაატარა.

თურქეთთან მატჩში მონასტერი ორჯერ აირია, ფეხბურთელებს შორის თითქმის ხელჩართული ჩხუბი ატყდა და ის კი არ არის მთავარი, თუ რა და როგორ, არამედ ის, თუ საიდან და რატომ გაუჩნდათ თურქებს ისეთი ამბიცია, რომ საქართველოსთან წაგების შეგრძნებით გამოწვეულმა ტკივილმა საჩხუბრად მომართა.

თავშივე ვთქვით, ოდესლაც „კანთან" მარცხი ხუმრობის გუნებაზე აყენებდა-მეთქი თურქებს, მაგრამ იქ „გალათასარაიმ" უეფას თასი მოიგო, 2002-ში თურქები შენოლ გიუნეშის ხელში მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაო მოინაგრეს.

სწორედ 2002-ის შემდეგ გაუჩნდათ „დიდი ჭია" და თუ ის არ გაახარეს, 60 მილიონ გულშემატკივარს უნდა აუხსნა, თუ რატომ




ვერ მოუგე ამა თუ იმ გუნდს. მაგალითად, საქართველოს, რომელიც ფიფას რეიტინგში საკმაოდ დაბლაა და ევროპის პრესტიჟულ ლიგებში ფეხბურთელების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის.

მოკლედ, სურათი რადიკალურად შეიცვალა — 2002-ის ზაფხულში თურქებმა ამხანაგურად ტრაბზონში 3:0 მოგვიგეს, შემდეგ მსოფლიოს 2004-ის შესარჩევში ტრაბზონშივე 1:1 ვეთამაშეთ, საპასუხო მატჩში კი 5:2 გაგვანადგურეს და უცბად, 5:2-დან, ორ წელიწადში აღმოჩნდა, რომ მათ ვაჯობეთ.

მოკლედ, მოედანზე გამართული ჩხუბის ერთ-ერთი მიზეზი ესაა. ერთ-ერთი იმიტომ, რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ თურქები ევრო 2004-ზე ვერ მოხვდნენ და 2006-ის მუნდიალიც გვედზე დარჩათ. ევროპის ჩემპიონატისკენ მიმავალი გზა ლატვიამ გადაუღობა პლეი ოფში, ხოლო მუნდიალისკენ შვეიცარიამ არ გაუშვა. გახსოვთ, ალბათ, რომ პლეი ოფში შვეიცარიასთან საპასუხო მატჩისას სტამბოლში მეტოქის ფეხბურთელებს სცემეს და ამიტომაც მიუსაჯა უეფამ თურქეთის ნაკრებს სამი საშინაო შეხვედრის ნეიტრალურ, უმაყურებლო სტადიონზე გამართვა.

მათგან ჩხუბი გასაკვირი არაა, მაგრამ, როცა თამაში ამხანაგურია, ამხანაგური უნდა იყოს. თურქულ პრესაში მხოლოდ ერთადერთმა სპორტულმა გაზეთმა „ფანატიკმა" დაბეჭდა ასეთი სათაური: „ბატონებო, ცოტა მშვიდად! შვეიცარიასთან მომხდარი ამბის შემდეგ, როგორც ჩანს, გაკვეთილი ვერ ვისწავლეთ!"

**როგან თურქია**

სარბიელელები თანაგრძნობას
ვუცხადებთ ჩვენს თანამშრომელს
გოჩა ჯანაშიას
**მამის**
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს
უცხადებს გურიის ფეხბურთის რეგიონალური
ფედერაციის პრეზიდენტ დურმიშხან ჩხაიძეს
**დედის**
გარდაცვალების გამო

# კლაუს ტოპმიოლერი: ფეხბურთი ოცნებების სამყარო არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა




ზურაბ ტოლუბლიშვილის ფოტო

ერთი წელი გავიდა, რაც კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრები პირველად გაიყვანა მინდორზე.
თუმც, სანუხარ-გულდასათუთქია ევრო 2008-ის შესარჩევის ცხრილი: პოტენციალის გათვალისწინებით, საქართველოს ნაკრებს სამ ქულაზე მეტი უნდა ჰქონდეს, მაგრამ უიღბლობამ და ტრავმიანობამ თავისი გაიტანა.
შესუსტებული შემადგენლობით თურქეთთან გამარჯვება კი ის ამბავია, რაც ქართველებს წინსვლის იმედს აძლევს.
— დღეს მთელი ევროპა მილოცავს. ახლაც, სანამ თქვენ შეგხვდებოდით, ჩემი ტელეფონი არ გაჩერებულა — გვითხრა კლაუს ტოპმიოლერმა, რომელსაც გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში" ვესაუბრეთ

— პირველად ვინ მოგილოცათ?

— ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ ერთ-ერთი პირველი ზარი ოჯახიდან იყო.

— **მიგაჩნიათ, რომ ეს თქვენი საუკეთესო მატჩი იყო, რაც საქართველოში ჩამოხვედით?**

— დიახ. ძალიან სწრაფი, დაუღალავი და დინამიური თამაში იყო. თურქეთი ძლიერი მეტოქეა და ხალხმა დაინახა, რომ საქართველოს ნაკრებს ხუთი-ექვსი წამყვანი ფეხბურთელის არყოფნაშიც კი შეუძლია წარმატებით თამაში. ჩვენ უფრო რთული პერიოდიც დაგვიდგება, მაგრამ ბირთვი უკვე მყავს. და კიდევ, ტაქტიკურად გამართულმა თამაშმა გამახარა.

— **ალბათ იცით, რომ ეს გამარჯვება გულშემატკივარს განსაკუთრებით გაუხარდა...**

— როდესაც ვფიქრობ, რომ თუნდაც ერთ საღამოს ქვეყანას ბედნიერება მოვუტანე, უჩვეულო სიხარულს და სიამაყეს ვგრძნობ. სიხარული მთელმა საქართველომ გაიზიარა. მე უკვე ძალიან შემიყვარდა თქვენი ქვეყანა — ხალხს ბედნიერება სწყურია, ისინი გუშინ მთელი ღამე ზეიმობდნენ.

— **თამაშამდე ფიქრობდით, რომ საქარველო — თურქეთის თამაში ამხანაგურის ფარგლებს გასცილდებოდა?**

— ჩვენ მოგებას ვაპირებდით და ვიცოდი, რომ თურქები ამას ადვილად ვერ გადაიტანდნენ. მთლად ამხელა განსხვავება არაა, მაგრამ წარმოიდგინეთ, ლუქსემბურგმა რომ გერმანიას მოუგოს... თურქეთი საქართველოზე გაცილებით დიდი ქვეყანაა და მათ მარცხმა ნერვები მოუშალა. მერე რა, რომ ამხანაგური თამაში იყო, პრესტიჟის ამბავია...

— **გუშინ თქვით, საქართველოს ნაკრები ამ ეტაპისთვის ოპტიმალურ თამაშს მიუახლოვდაო. კერძოდ, რა იგულისხმეთ?**

— უკვე ვხედავ, რომ ფეხბურთელებმა ჩემი ფილოსოფია გაითავისეს, ანუ მათ ჩემი ბოლომდე ესმით, ოპტიმალურში კი ვიგულისხმე ძირითადი შემადგენლობის 11 ფეხბურთელი, ანუ მე უკვე ვიცი, კონკრეტულ პოზიციაზე კონკრეტულ ფეხბურთელს რა შეუძლია.

— **აქამდე უმეტესად 4-3-3 სქემას ირჩევდით, თურქეთთან კი 4-4-2-ით ითამაშეთ...**

— სათამაშო სქემის არჩევისას პირველ რიგში მოწინააღმდეგის განლაგებას ვაკვირდები. თურქებმა გუშინ 4-1-4-1 სისტემით ითამაშეს, მოლდოვასთან სხვა განლაგება ჰქონდათ, იტალიასთან სხვა... თურქებთან მატჩამდე დატვირთული დღეები გვქონდა, ვიდეოანალიზი ძალიან დაგვეხმარა და, შეიძლება ითქვას, მეტოქის ყველა ფეხბურთელი შესწავლილი გვყავდა.

— **გუშინ განაცხადეთ, სირაძემ და ბურდულმა დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე და მათ შოტლანდიასთან თამაშისთვის გამოვიძახებო. ზაალ ელიავაზე რას იტყვით?**

— რა თქმა უნდა, ელიავაც იქნება საშოტლანდიო სიაში. მის თამაშს ადრეც ვაკვირდებოდი, ალბანეთთანაც მშვენივრად გაისარჯა, მერე კი ხშირად ტრავმიანობდა და ოპერაციაც გაიკეთა. ელიავას ცოტა გუნდში ჩაჯდომა უჭირს, თორემ თურქებთან მან ფანტასტიკურად ითამაშა.

— **შოტლანდიელები, ტრადიციულად, მაღალ ბურთებზე აკეთებდნენ აქცენტს და ნუკრი რევიშვილსა და გიორგი ლომაიას შორის იმას აირჩევთ, რომელიც გამოსვლაზე უკეთ თამაშობს?**

— გუშინაც ვთქვი, რომ ლომაიამაც და რევიშვილმაც კარგად ითამაშეს. მათზე დაკვირვებას გავაგრძელებ და ვნახოთ, ყველაფერი მათ ფორმაზეა დამოკიდებული.

— **ნაკრები რომ უკეთესად თამაშობს, ეს აშკარაა, მაგრამ თუ გაქვთ ისეთი პრობლემა, რომლის გადაჭრაც ძალიან გიძნელდებათ?**

— არა, ასეთი პრობლემა არ მაქვს. ჩემი მთავარი მიზანი იყო, ფეხბურთელებს ჩემი ზედმიწევნით ზუსტად გაეგოთ და თამაშისას ყველაფერი გაელოთ. მატჩის დაწყებამდე მათ ვუთხარი, ხედავთ, რამდენი გულშემატკივარია, შედეგს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია, ისინი ნასიამოვნები დარჩნენ თამაშით და იგრძნონ, რომ თამაშში გული და სული ჩადეთ-მეთქი.

— **რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თქვენი რეკომენდაციით მოხვდა გერმანულ კლუბებში. ზაფხულისთვის კიდევ უნდა ველოდოთ ამას?**

— ისინი ჩემი დამსახურებით არ მოხვედრილან გუნდებში, მაგრამ ცხადია, ქართველი ფეხბურთელების ნორმალურ ევროპულ კლუბში მოწყობას მივესალმები.

— **შოტლანდიასთან მატჩამდე რა გეგმები გაქვთ?**

— შაბათამდე საქართველოში ვიქნები, მერე 19-წლამდელთა ნაკრებს პორტუგალიაში გავყვები ტურნირზე, მარტის დასაწყისში კი ჩამოვალ და საშოტლანდიო მზადებას დავიწყებთ.

— **ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ურუგვაისთან და თურქეთთან მოგებით საქართველოს ნაკრებმა ექვსი ქულა ვერ აიღო. ალბათ, ამ ორ გამარჯვებას სიამოვნებით გაცვლიდით შესარჩევ თამაშში გამარჯვებაში...**

— ფეხბურთი ოცნებების სამყარო არ არის. მძიმე და უიღბლო პერიოდი გვქონდა, გაუთავებელმა ტრავმებმა დიდი დაღი დაგვასვა. ისე, გუშინ ბიჭებს ვუთხარი, ძალიან მინდა, ახლა იწყებოდეს შესარჩევი ციკლი-მეთქი.

**ილია ნანოგაშვილი**
**ნინო სილაგაძე**



ბაჩო კორძაიას ფოტო

# თურქებს თურქეთში მოღონიერებულმა გაუტანა

### ჰერ კლაუსის და დათოს ამბავი

...საქართველოს ეროვნული გუნდი შარშან გაზაფხულზე ამხანაგურად გაეჯიბრა ალბანეთს ტირანაში. მატჩამდე ორი დღით ადრე სასტუმროში მეორე ბუნდესლიგის აუე — „ჰანზას" ვუყურებდით. პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა, შესვენების შემდეგ კი მოედანზე დავით სირაძე შევიდა და როსტოკელებს ორი ეფექტური გოლი გაუტანა, აუემ 2:0 მოიგო. მეორე დღეს კლაუს ტოპმიოლერმა მითხრა, გამიხარდა, ქართველმა გერმანიაში ორი გოლი რომ შეაგდო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, სირაძეს მომდევნო სანაკრებო მატჩში გამოვიძახებო.

ტოპმიოლერმა სიტყვა შეასრულა და სირაძეს არც ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩებისთვის უხმო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ვკითხე, ხომ არ იცით, რას ფიქრობს ტოპი ამ ფეხბურთელზე-მეთქი. პასუხი ასეთი იყო: ნაკრებში უკვე გამოყოფილია 35 სპორტული ჩანთა, ანუ სრული ეკიპირება ფეხბურთელებისთვის და სირაძე ამ 35 კაცში ვერ მოხვდაო...

ერთი სიტყვით, სირაძე არ ყოფილა სტრატეგიულად ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ტოპმიოლერისთვის. ჰერ კლაუსი ჯერ ამბობდა, აუე-ს მწვრთნელისგან შევიტყვე, სირაძე გუნდში მორიდებულად და უფხოდ იქცევაო; რამდენიმე თვის შემდეგ კი გვიხსნიდა, სირაძეს აუეში კი აქებენ, მაგრამ ნაკრებში ჯერ სხვა ფეხბურთელებს ვენდობიო.

არც ევრო 2008-ის დაწყებამდე, არც შესარჩევის შარშანდელ ოთხ შეხვედრაში და არც გერმანიასთან ამხანაგური მატჩისთვის სირაძეს ნაკრებში არ იძახებდნენ, სამაგიეროდ, იძახებდნენ იმათ, თავიანთ კლუბებში სათამაშო პრაქტიკა რომ არ ჰქონდათ, კლუბის მეორე გუნდში რომ თამაშობდნენ და ისეთსაც, თითქმის თვენახევარი გუნდის სამატჩო განაცხადშიც რომ ვერ ხვდებოდა.

სირაძე ტოპმიოლერის ნაკრებში პირველად 15 ნოემბერს ურუგვაისთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახეს და დათომაც რიგიანად ითამაშა. მერე კი იყო თურქეთი — თავდასხმის ცენტრში ჯარასავით მოტრიალე სირაძე, გამარჯვების გოლის გამტანი საქართველოს ნაკრების ყველაზე გემრიელად მოგებულ ამხანაგურ შეხვედრაში.



[illegible] ფოტო

### რკინიგზელთა ბალაკი გერმანიაში

...დათო 17 წლის იყო, თურქეთის უმაღლესი ლიგის „ერზურუმსფორში" რომ გადავიდა „დინამო 2"-დან. ერზურუმი მთიანი ალაგია და სუსტი აღნაგობის ქართველი იქაური ჰავით კარგად მოღონიერდა. სამწლინახევრის შემდეგ „ერზურუმი" უმაღლესი ლიგიდან გავარდა და, შესაბამისად, ლეგიონერის ყოლის უფლებაც ჩამოერთვა. სირაძე საქართველოში დაბრუნდა, თბილისის „ლოკომოტივში" მივიდა, ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახდა და ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვიეს — მაშინ ნახევარმცველი იყო, რომელსაც საყრდენობაც შეეძლო, გათამაშებლობაც და ფლანგზე თამაშიც — ორივე ფეხით ძლიერი დარტყმა, ღონიერი თავური — „სარბიელმა" სირაძეს ერთხელ „რკინიგზელთა ბალაკიც" კი უწოდა.

სირაძეს თვალი ივო შუშაკის „დინამომაც" დაადგა. დაიწყო მოლაპარაკება ტრანსფერზე, მაგრამ ფეხბურთელი „დინამოს" პირობებმა ვერ მოხიბლა და მეორებუნდესლიგურ „უნიონში" გადავიდა. ბერლინიური გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან გავარდა, სირაძე კი ისევ მეორე ბუნდესლიგაში დარჩა — ტრირის „აინტრახტში", მაგრამ ტრირელებსაც „უნიონის" ბედი ეწიათ.

სირაძე ისევ საქართველოში, ისევ „ლოკომოტივში" დაბრუნდა და მასზე, როგორც პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელზე, ბევრმა ხელი ჩაიქნია. დათო უწინდელივით ვერ ბრწყინავდა საქართველოს ჩემპიონატში და ამას ფსიქოლოგიური ფაქტორით ხსნიდა — გერმანიიდან მობრუნებულისთვის აქ თამაში ძალიან ძნელიაო.

სირაძეს უკვე კარგად იცნობდნენ მეორე ბუნდესლიგაში და ნახევარსეზონიანი პაუზის შემდეგ დათო ერცგებირგეს აუემ მიიწვია.

### ვინ შეცვლის არველაძეს?

„თურქებთან მოგება ადვილი არ არის და ამ გამარჯვების სიხარულს გატანილი გოლი მიორმაგებს. სავსე ტრიბუნებით თამაში სულ სხვაა, სულ სხვა სტიმულს იძლევა. მატჩის წინ ტოპმიოლერმა მითხრა, ბურთი შეინარჩუნე, ორთაბრძოლებში შესვლას არ მოერიდო, როცა ბურთს მიიღებ, უკან არ დააბრუნო, წინ წაიღეო. მწვრთნელმა მაღალი ბურთების მოგებაც დამავალა და ალბათ ამიტომაც არ შემცვალა იმ კუთხურის დროს, რომლის გათამაშებასაც გოლი მოჰყვა, თორემ პირველ ტაიმში ფეხი ვიტკინე და გოლამდე რამდენიმე წამით ადრე [illegible]ეთიას უნდა შევეცვალე. თამაშამდე ვგრძნობდი, რომ გოლს [illegible] გავიტანდი" — გვითხრა გუშინ ერცგებირგეში დაბრუნებულმა სირაძემ.

თურქეთთან მატჩით მხოლოდ ის როდი გამოჩნდა, რომ სირაძემ კარგად ითამაშა — დათოს გარეგნობა ისეთი იყო, ნაკრების მომავალზე რომ დაგვაფიქრებს — ასეთი თამაშით სირაძე ალბათ შოთა არველაძის ყველაზე ოპტიმალური შემცვლელად ჩანს ცენტრფორვარდის პოზიციაზე.

### ან კონტრაქტი, ან სააში

აუეში კი სირაძე დიდხანს არ უნდა დარჩეს. ბოლო ორი ტურია, მას სასტარტოში არ ათამაშებენ. „გუნდში ახალი შემტევი, ბულგარელი ანგელოვი მოვიდა და ჩემ ნაცვლად მას ათამაშებენ. მანამდე აუემ ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა და უარი ვთქვი. კლუბის პრეზიდენტმა, ვიცე-პრეზიდენტმა და მწვრთნელმა კი მითხრეს, ახალი კონტრაქტი თუ არ გინდა, სათადარიგოთა სკამზე იჯდებიო. ამის შესახებ ტოპმიოლერსაც ვაცნობე. ახალი მენეჯერიც მყავს — მიშელ ზეერი და თვის ბოლომდე იქნებ სხვა გუნდთან გამიხერხოს ტრანსფერი. შემოთავაზებები უკვე მაქვს მეორე ბუნდესლიგის რამდენიმე გუნდიდან. ამ სეზონს კი, ცხადია, აუეში ჩავამთავრებ" — გვითხრა სირაძემ.

ასეა, დათოს პერიფერიულ კლუბში და ქალაქში ყოფნა აღარ სურს. ცხოვრება მისთვის ერცგებირგესთან ახლოს, ლაიფციგში ჩქეფს. სეზონის დასრულების შემდეგ კი სირაძეს ახალი გამოწვევა ელის.

**დავით თავართქილაძე**

# თურქებმა მოიგეს, ქართველებმა ერთმანეთი დაჭამეს საერთაშორისო ეროვნული ნიშნით: იგინება ყველა

ფეხბურთი უემოციოდ არ არსებობს. არა, იქნებ არსებობს, მაგრამ ვაი იმ მატჩს, სადაც გულშემატკივარს, მოთამაშეს, თუნდაც მწვრთნელს თუ ფედერაციის წარმომადგენელს ნერვები არ დაეჭიმება. თუმც ემოციას მედალივით ორი მხარე აქვს...

რაც საქართველო — თურქეთის ახალგაზრდული ნაკრებების ნამატჩევს მოხდა, ვერანაირად ვერ „ჯდება" „კარგი გაგებით ემოციის" ნორმებში. ჩვენი ნაკრების ზოგიერთი ფეხბურთელი და მენეჯერი საფინალო სასტვენისთანავე მთავარ მსაჯ ლევან ფანიაშვილს მიადგნენ შუა მოედანზე და...

პრესლოჟიდან ვერ გავიგებდით, რა უთხრეს ერთმანეთს და ამიტომ ჯერ მატჩის ინსპექტორ ადიკ დურსუნიშს მოვუსმინოთ...

— ფანიაშვილმა კარგად იმსაჯა და საკმაოდ მაღალი, 8,1 ბალით შევაფასე.

— კი მაგრამ, საქართველოს ნაკრები უკმაყოფილი დარჩა ფანიაშვილის მსაჯობით...

— მსაჯს სამი კი არა, ექვსი წუთის დამატებაც შეეძლო, რადგან თამაში ხშირად ჩერდებოდა. ფეხბურთელებს იმდენად არ გამოუხატავთ აღშფოთება, რამდენადაც ნაკრების მენეჯერ თამაზ ბოკერიას. მან ფანიაშვილს შეაგინა, პასუხიც მიიღო და სიტუაცია უარესად დაიძაბა. ასე სად გაგონილა — გამოდის, ფეხბურთს მსაჯი საერთოდ არ სჭირდება...

— ურთიერთლანძღვა მინდვრის მიღმაც გაგრძელდა?

— ასე დეტალურად არ ვიცი, მაგრამ სანამ გასახდელში შევიდოდნენ, იქამდე ძლივს აკავებდნენ ბოკერიასა და ფანიაშვილს. გინდა მენეჯერი იყოს, გინდა ფედერაციის ნებისმიერი წარმომადგენელი, მსაჯზე ასეთი ზეწოლა არ შეიძლება. ერთი კია, ბოლო წუთებზე გვერდითმა მსაჯმა ყრუაშვილმა დაუშვა შეცდომა — ბურთი პირით ხაზს გადასცდა და ვერ დაინახა. გამოუცდელი, ახალგაზრდა მსაჯია და ასეთი დონის მატჩზე არ უნდა დაენიშნათ, ამაზე ვუთხარი კიდეც სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ამირან კაჭახიძეს.

*ჩვენ ლევან ფანიაშვილსაც დავუკავშირდით, რომელიც მცირე, თავშეკავებული კომენტარით შემოიფარგლა...*

— ფეხბურთელები მელავებოდნენ, რატომ დროულად არ დაასრულე მატჩიო. მე რამდენიმე წუთიც დავამატე, იმისთვის არ გადამიმეტებია.

— მხოლოდ ფეხბურთელები არ ყოფილან აღშფოთებულნი. ნაკრების მენეჯერიც აღელვებული იყო.

— ეს უკვე სხვა თემაა და არ მინდა ამაზე ლაპარაკი. რაც მოხდა, ჩემი გასარჩევი არ არის. თუ ჩათვლიან, რომ ეს საქმე მისახედია, ფედერაციაში მიხედავენ...

**ილია ნანობაშვილი**





2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები



## რას ნიშნავს იტალიური სიცარიელე მაკლიშისთვის

**სერია A-ს** სიცილიური დერბის (კატანია — პალერმო) დროს მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ერთ-ერთად „სკუადრა ატურას“ საშინაო თამაშების ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარება მიიჩნევა. ასეთმა გადაწყვეტილებამ კი შოტლანდიელთა მთავარი მწვრთნელი ალექს მაკლიში ძალიან გაახარა — იტალიელებმა შოტლანდიელებს 28 მარტს უნდა უმასპინძლონ.

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი დევიდ ტეილორი დღეს იტალიაში ჩავა, რათა უსაფრთხოების გარანტია მიიღოს. მაკლიში კი დარწმუნებულია, რომ ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში ბრიტანელთა წისქვილზე დაასხამს წყალს:

— რაც იტალიაში მოხდა, ტრაგედიაა, მაგრამ თუ ჩვენ რაიმე უპირატესობას მივიღებთ, ნამდვილად არ გვაწყენს. იტალიაში უმაყურებლოდ თამაშის გამოცდილება მაქვს და თუ ეს განმეორდება, ამ გამოცდილებას ფეხბურთელებს გავუზიარებ. როდესაც მასპინძელ გუნდს გულშემატკივართა მხარდაჭერა არ აქვს, მაშინ მეტოქეზე დაწოლა იკლებს, მოტივაციაც ეცემა და მათი მდგომარეობა მძიმდება. ჩვენ ერთი დაგვრჩენია — დაველოდოთ ჩვენთვის სარგო ინფორმაციას — განაცხადა მაკლიშმა.

მაკლიშმა ზემოთ ნახსენები გამოცდილება ორი წლის წინ მიიღო, როდესაც მისი გაწვრთნილი „რეინჯერსი“ ჩემპიონთა ლიგაში „ინტერს“ ეთამაშა. მიუხედავად 0:1 მარცხისა, მაკლიშის აზრით, ფსიქოლოგიური უპირატესობა მისი გუნდის მხარეს იყო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## მამლებმა ზუსტად ვერ უნისკარტეს

**ფიფას** დღით ისარგებლა საფრანგეთის ნაკრებმაც და ამხანაგური მატჩი გამართა. ფიფას რეიტინგში მეოთხეადგილოსანმა „მამლებმა“ სპარინგისთვის სერიოზული მეტოქე, რეიტინგში მათზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომი არგენტინის ნაკრები შეარჩიეს და 0:1 დამარცხდნენ. გამარჯვებულთაგან გოლი ხავიერ სავიოლამ გაიტანა.

საფრანგეთის ნაკრებს ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე კარგი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ფეხბურთელები ბოლო ფაზაში სცოდავდნენ, რაც თამაშის შემდეგ ფრანგთა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმაც აღნიშნა: „გააზრებული და კომბინაციური ფეხბურთი ვაჩვენეთ, მაგრამ ბიჭებს სიზუსტე აკლდათ. ამ ხარვეზის გამოსწორება კი შესაძლოა“.

ფრანგებმა სამხრეთამერიკელთა წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *კუპე, სანიოლი (კლერკი 46), სკილაჩი, ესკუდე, აბიდალი, რიბერი, ვიეირა, მაკელელე (სისე 83), მალუდა (გოვუ 46), ანრი, ტრეზეგე (ანელკა 72).*

ევროშესარჩევი ეტაპის უახლოეს შეხვედრას ფრანგები ლიტვის ნაკრებთან 24 მარტს გამართავენ სტუმრად.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## შევჩენკო ისევ ჩაიკარგა

**უკრაინის** ნაკრები თელავივში ისრაელს გაეჯიბრა და მატჩი ფრედ — 1:1 დასრულდა. ანგარიში ისრაელის ნაკრების ფეხბურთელმა ბადირმა 38-ე წუთზე გახსნა, გამთანაბრებელი კი 73-ეზე მაქსიმ კალინიჩენკომ შეაგდო, რომელმაც თავისივე გაცუდებულ თერთმეტმეტრიანს დაამატა.

.უკრაინელებმა ეს შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: *შუსტი, რომანჩუკი (სვიდერსკი 63), რუსოლი, ჩიგრინსკი, იეზერსკი, ტიმოშჩუკი (მიხალიკი 46), გუსევი (როტანი 60), ლევჩენკო, კალინიჩენკო, შევჩენკო (ბელიკი 50), ვორონინი (მილევსკი 46).*

აქვე შეგახსენებთ, რომ უკრაინის ნაკრები ფიფას რეიტინგში მე-13 ადგილზეა, ისრაელის — 44-ზე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თერიმ, მურმანის ეკალო!

## თურქებს ეს საქართველო ძველი საქართველო ეგონათ

**თურქეთის** ნაკრების კაპიტანი თუგაი ქერიმოღლუ საქართველოსთან მატჩის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილის სტუმარი უნდა ყოფილიყო, ინგლისური „ბლექბერნის“ ლეგიონერები თბილისში დარჩენას და შემდეგ ერთად გამგზავრებას აპირებდნენ, თუმცა თურქთა მწვრთნელის ფათიჰ თერიმის ახირების გამო — ერთად ჩამოვედით, ერთადვე წავალთო — ფეხბურთელთა გეგმები შეიცვალა. თუგაი მატჩის შემდეგვე გაჰყვა გუნდს. ჩვენიანი კი გამთენიისას გაემგზავრა. საბოლოოდ ისინი ერთმანეთს სტამბოლის აეროპორტში შეხვდნენ.

რა ითქვა თვითმფრინავში, როგორი შთაბეჭდილებებით დაუბრუნდნენ ისინი კლუბს? აი ეს გვიამბო ხიზანიშვილმა, რომელიც თურქებთან მატჩში თანაგუნდელებს გაუძღვა, ასე რომ, „ბლექბერნმა“ თბილისში ორი კაპიტანი გამოუშვა.

...თუგაის თბილისში აქამდეც ვეპატიჟებოდი. ახლა საქართველოში ერთად ყოფნის შანსი გამოგვიჩნდა და შეთანხმებულებიც ვიყავით, რომ თუგაი თბილისში დარჩებოდა, მაგრამ მატჩის შემდეგ თურქების მწვრთნელი ისეთი გაღიზიანებული იყო, თბილისში ცოცხალი თავით არ დატოვა. რა გაეწყობა, სტუმრობა სამომავლოდ გადავდეთ. სტამბოლიდან ბლექბერნში მაინც ერთად ჩავედით. თვითფრინავში, ცხადია, მატჩის გარდა არაფერზე გვისაუბრია. თუგაი გაკვირვებული იყო და რამდენჯერმე თქვა კიდეც, ასეთი დაძაბული, საინტერესო და ჟინიანი ამხანაგური შეხვედრა აქამდე არ მითამაშიაო. თურქები სავსე სტადიონს და საქართველოს ნაკრების ხარისხიან თამაშს არ ელოდნენ. მოგებაში დარწმუნებულნი ყოფილან, თანაც ფეხებს გავუფრთხილდებითო, თურმე ასეთი განწყობით ჩამოსულან. თუგაი მთელი გზა იმეორებდა, თქვენი ასეთი კარგი თამაში ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა იყოო და, როცა ამას ამბობდა, იქვე იმასაც ამატებდა, ვინც გაკლდათ, ისინი ვიცი, ამ ბიჭებს კი არც ვიცნობდიო.

...თურქები მსაჯობით ძალიან უკმაყოფილონი დარჩნენ, მაგრამ თუგაიმ ისიც მითხრა, ორ ეპიზოდში არბიტრმა დაგვინდო, თორემ შეიძლებოდა, იყო დიდი ანგარიშითაც წაგვეგო. ჰამიტ ალტინტოპი და თუმერი გაძევებას იმსახურებდნენ. მსაჯმა კი ერთს ყვითელი მისცა, მეორეს სიტყვიერი გაფრთხილება აკმარაო. ისე, ერთ რამეზე შევთანხმდით, მსაჯს უსაშველო შეცდომები არ ჰქონია. თურქები კი, კარგად იცით, როგორი ამბიციურებიც არიან და წაგება რომ ვერ აიტანეს, ყველაფერი მსაჯს გადააბრალეს...

...თუგაის თამაშის მანერა კარგად ვიცი, ცხადი იყო, რაკი ნაკრებში დააბრუნეს, ძირითადში დააყენებდნენ და თამაშსაც მასზე ააწყობდნენ. თუგაის მწვავე პასი, თამაშის გაშლა არ ესწავლება და როცა ის გამოცვალეს, გამიხარდა, მისგან დიდი პრობლემები იყო მოსალოდნელი, მაგრამ თერიმმა წაგებული თამაშის გადარჩენა თუგაის გარეშე სცადა, რამაც ცოტა ამოგვასუნთქა კიდეც. თუ დააკვირდით, თურქები აუტიდან ყველა ბურთს სწორედ თუგაის აწვდიდნენ და მერე შეტევაც მისგან იწყებოდა. შესვენებაზე გიორგი დემეტრაძეს ვუთხარი, მეტოქის აუტებისას თუგაის წინ შეერჩია პოზიცია, ამით იგი მნიშვნელოვნად იზღუდებოდა. როგორ ფეხბურთსაც „ბლექბერნში“ თამაშობს, იგივეს გაკეთებას ნაკრებში ცდილობდა. ამ ლაპარაკ-ლაპარაკში თუგაი მიხვდა, რომ ეს ყველაფერი დემეტრაძემ ჩემგან გაიგო.

...თურქეთთან თამაშის ხარისხით და, რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვარ. ერთი-ორად სასიამოვნო კი ისაა, თურქები რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე რომ დავამარცხეთ. თავიდან ჩვენი გუნდი ცოტა შებოჭილიც ჩანდა, მაგრამ მეტოქის კართან ერთიორი მომენტი რომ შევქმენით და მათი შეტევები ჩავშალეთ, თავდაჯერება შეგვემატა, ამიტომაც გავიფიქრე, ასეთი შემადგენლობითაც შეიძლება თურქეთის დამარცხება-მეთქი. მეორე ტაიმის დასაწყისში საზარდულის ტკივილმა შემაწუხა, მაგრამ იმ დროს შეცვლის მოთხოვნა არ შეიძლებოდა, თურქები მაგრად გვიტევდნენ. მერე ტკივილმაც გამიარა და ახლა იმედი მაქვს, ამ უქმეებზე კლუბშიც ვითამაშებ.



ზაზა ქიქილაშვილის ფოტო

**ბოგა ინასარიძე**


ლევონ თრეველი

გთავაზობთ უნიკალური შანსს, დაესწროთ შოტლანდია — საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩს გლაზგოში 24 მარტს.

იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია. განცხადებები მიიღება 28 თებერვლამდე.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №20
ტელეფონი: 250010, 250060, 250199, 8(99)537845

# ნომერი ოცდამესამე

## იტალიამ პისანუ უნდა ჰქნას



„მილანი“ და „ინტერი“ „სან სიროდან“ გარბიან

„მას მერე, რაც მთავრობამ ახალ წესებს თავისი ბეჭედი დაასვა, ჩემპიონატი უნდა გაგრძელდეს. შემდგომ დაყოვნებას აზრი არა აქვს“ — ბრძანა *იტალიის ფეხბურთის ფედერაციის კომისიონერმა ლუკა პანკალიმ.*

ასე და ამგვარად, გადაწყდა: სერია A და სერია B ამ უქმეებზე განახლდება და მატჩები დღისით ჩატარდება.

კომისიონერმა პანკალიმ დასძინა: „ისიც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დღეებში დადებით შედეგს მივაღწიეთ. ვფიქრობ, ყველამ გაიაზრა თავისი პასუხისმგებლობა და ამიერიდან საფეხბურთო ხულიგნობას ერთად შევუტევთ“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონატი 23-ე ტურიდან გაგრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტური, რომელიც წინა პარასკევს პოლიციელი ფილიპო რაჩიტის მკვლელობის გამო გადაიდო, სავარაუდოდ, აპრილში გაიმართება.

და, ბუნებრივია, მთავრობისა და სპორტის მესვეურთა ერთობლივი გადაწყვეტილებებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, „პისანუს წეს-კანონთა“ დაუყოვნებლივ ამოქმედებას ნიშნავს, უკმაყოფილონი დარჩნენ კლუბები.

მაგალითად, *„მილანის“ შეფი ადრიანო გალიანი* იხვეწება, რომ სტადიონზე აბონემენტების პატრონები მაინც შეუშვან, თორემ გამოდის, მოქალაქეებმა, რომელთაც თამაშებზე დასწრების ფული სეზონის დასაწყისში გადაიხადეს, ზარალი უნდა ნახონ ან მათი თანხა კლუბებმა უნდა აანაზღაურონ.

„როდესაც უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებები მოწესრიგდება, რასაც ჩვენი გათვლებით, ზოგ ქალაქში მაქსიმუმ ერთი თვე დასჭირდება, ტრიბუნებზე აბონემენტების მფლობელები მაინც უნდა შევუშვათ“ — ბრძანა გალიანიმ, რომელსაც შიდაიტალიური საქმეები იქით იყოს და, ევროპულ ასპარეზზეც ცუდად აქვს „სან სიროზე“ ხალხის შეშვების საქმე.

ერთი სიტყვით, თუ მილანის ცნობილი სტადიონი მაყურებლისთვის დაიხურება, არ არის გამორიცხული, ჩემპიონთა ლიგაში „მილანისა“ და „ინტერის“ საშინაო მატჩები თავად კლუბების ხელმძღვანელებმა სხვა ქალაქებში გადაიტანონ. კერძოდ, „ინტერი“ 21 თებერვალს „ვალენსიასთან“ თამაშს გენუაში ფიქრობს, ხოლო „მილანი“ 7 მარტს შვეიცარიაში ან საფრანგეთში ვარაუდობს „სელტიკის“ დახვედრას.

ბუნებრივია, ორივე შემთხვევაში საბოლოო სიტყვას უეფა იტყვის, თუმცა რატომ უნდა თქვას ამ პატივცემულმა ორგანიზაციამ უარი, გაუგებარია.

და მაინც, ვინაიდან 21 თებერვლამდე ჯერ შორია, დავუბრუნდეთ იტალიის პირველობას.

„აქ მხოლოდ სამი ვარიანტია: ჩვენ ყველანი თამაშს ვწყვეტთ, ჩვენ ყველანი ვთამაშობთ უმაყურებლო სტადიონებზე ან ჩვენ ყველანი ჩვეულებრივად ვთამაშობთ, ხალხით სავსე ტრიბუნების წინ — განაცხადა *„ლივორნოს“ პატრონმა ალდო სპინელიმ* და იქვე გაიმეორა — სხვა გზა არ არის, ამიტომ საფეხბურთო ლიგა უნდა შეიკრიბოს და თავისი საბოლოო სიტყვა თქვას“.

*„პალერმოს“ პრეზიდენტი მაურიციო გასპარინი:* „გამაოცა ამ მთავრობამ. ეს რა გააკეთა?! სტადიონების დახურვა სასტიკი განაჩენია, რომელიც კლუბებს გამოუტანეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი კლუბი სტადიონის გადაკეთებას და უსაფრთხოების ნორმების დაცვას აყოვნებს, ასეთი სისასტიკე ნამდვილად არ იყო საჭირო“.

*„არეცოს“ პატრონი პიეტრო მანჩინი:* „სტადიონები ფანებისთვის არის აგებული და თუ ისინი თამაშებს ვერ დაესწრებიან, მაშინ ჩემპიონატი მართლა ერთი ან ორი წლით უნდა შევაჩეროთ და დაველოდოთ პოლიტიკოსებს, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ“.

**პაპუნა ქედია**

# კაკას თეთრი, შავი და წითელი




კაკა კალდერონის ტკივილია — მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა „მილანის“ ბრაზილიელის შეძენა საამსეზონოდ ვერ შეძლო, მაგრამ საამისოდ ბრძოლას აგრძელებს — ფანებისთვის ხომ წინასაარჩევნო სიტყვა აქვს მიცემული. იქამდე კი ესპანური „ასი“ კაკას გაესაუბრა, რათა მისი სამომავლო გეგმები გაეგო...

— მადრიდის „რეალს“ კვლავ სურს თქვენი შეძენა. მადრიდელები ირწმუნებიან, რომ ეს სეზონი „მილანში“ თქვენთვის ბოლოა...

— ამის გამეორებით უკვე დავიღალე — მარტო ღმერთმა იცის, მომავალში სად ვითამაშებ. ისე კი, იტალიაში თავს მშვენივრად ვგრძნობ და „მილანში“ თამაშიც ძალიან მომწონს.

— იანვრის სატრანსფერო ბაზარზე რონალდოს „რეალიდან“ მილანში გადმოსვლას როგორ შეაფასებდით?

— ჩვენი მიზნების განსახორციელებლად სერიოზული ძალა შეგვემატა. გარდა ამისა, რონალდო ჩემი საფეხბურთო კერპია, უდიდესი ჩემპიონი. ძალიან მიხარია, კლუბშიც მის გვერდით თამაში რომ მომიწევს. როცა დრო მოვა, მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ „მილანმა“ რონალდოს შეძენით სწორი ნაბიჯი გადადგა. თან რონი კარგი პიროვნება, წყნარი, საინტერესო ადამიანია — ნამდვილი ფენომენია...

— ფაბიო კაპელო კი თავისი ყოფილი შეგირდის თაობაზე სულ სხვანაირად ფიქრობს...

— ვერაფერს გეტყვით. კაპელო არ ვიცი, მაგრამ კარლო ანჩელოტის კარგად ვიცნობ, მისი სამწვრთნელო ტაქტიკისა ვიცი და დარწმუნებული ვარ, რონალდო ანჩელოტის ტაქტიკას იდეალურად მოერგება.

— კი მაგრამ, არ შიშობთ, რომ რონალდომ საუკეთესო წლები უკვე უკან ჩამოიტოვა?

— უყოყმანოდ დავეთანხმე, როცა გუნდში მისი ჩარიცხვის თაობაზე რჩევა მკითხეს. ნებისმიერ დროს შემიძლია, რონალდოს კლასს თავდებში დავუდგე. როდესაც რონის „მილანში“ გადმოსვლის ამბავი ირკვეოდა, უფროსობა ჩემი აზრითაც დაინტერესდა და მეც დაუფიქრებლად ვუთხარი: იგი დიდი ფეხბურთელია... კმაყოფილი ვარ, „მილანში“ ერთად რომ ვითამაშეთ.

— თუმცა მილანის შავ-ლურჯი ნაწილი ამ ტრანსფერით უკიდურესად უკმაყოფილოა...

— ფეხბურთი ისეთია, ყველა ბედნიერი ვერ იქნება. მაგრამ რასაც „ინტერში“ იტყვიან, ჩვენთვის დაბრკოლებად არ იქცევა. ახლა მხოლოდ საუკეთესო რონალდოს დაბრუნებაზე უნდა ვიფიქროთ, რათა მსოფლიომ მისი თამაშით კვლავ ისიამოვნოს.

— „მილანის“ საამსეზონო გეგმებზეც ვისაუბროთ...

— წლეულს სერია A-ში ჩვენი მიზანი მეოთხე ადგილია, თუმცა არც ჩემპიონთა ლიგა გვავიწყდება. ლიგისთვის ბრძოლა შესანიშნავი შანსია, რათა ამ სეზონში ჩვენს თამაშს ფასი დაედოს.

— კატანიაში მომხდარ ტრაგედიაზე და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე რას ფიქრობთ?

— მინდა, ვთქვა, რომ პოლიციელის მკვლელებმა საზარელი და სამარცხვინო საქმე ჩაიდინეს. ასევე ვეთანხმები იმას, რომ იტალიის ჩემპიონატი დროებით შეწყდა...


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სევდ-იანი განცხადება

**ჩეხეთის** ნაკრების ახმახმა თავდამსხმელმა იან კოლერმა განაცხადა, რომ ევრო 2008-ის შემდეგ კარიერას დაასრულებს.

ერთ დროს გერმანული „დორტმუნდის“ სახელგანთქმული ფორვარდი ახლა ფრანგულ „მონაკოში“ ირიცხება და სწორედ ეს იქნება მისი ბოლო კლუბი...

— „მონაკოში“ თავს მშვენივრად ვგრძნობ, მაგრამ ეს ჩემი ბოლო კონტრაქტია. ევრო 2008-ის შემდეგ ფეხბურთიდან წავალ, ეს უკვე გადაწყვეტილია — უთხრა კოლერმა ჟურნალისტებს.

**ბახა ზალამბერიძე**

# ამაო 7500

**ფრანგული** „ლილის“ სენეგალელ მეკარე ტონი სილვას უცნაური მოგზაურობა გამოუვიდა — ბენინთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ მშობლიურ დაკარში ჩავიდა და... იქ შეიტყო, რომ თურმე მატჩი საფრანგეთის ქალაქ რუანეში ტარდებოდა.

„სენეგალის ფეხბურთის ფედერაციამ ფაქსი მაშინ გამოგვიგზავნა, როცა კლუბს უქმე დღე ჰქონდა. ამიტომ არ შეგვეძლო, ყველაფერი დროულად გაგვეგო და სილვა გაგვეფრთხილებინა“ — განაცხადა „ლილის“ თავკაცმა კლოდ პუელმა.

აქვე ვთქვათ, რომ სილვამ 8 000 კილომეტრი გაიარა ამაოდ, არადა, მატჩი ლილიდან 500 კილომეტრის დაშორებით მდებარე რუანეში იყო...

**ბახა ზალამბერიძე**

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი

### D ჯგუფი. V ტური

**სან მარინო 1:2 ირლანდია**

0:1 კილბეინი (49), 1:1 მანუელ მარანი (86), 1:2 აირლენდი (90)

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი, ვალენტინი, მანუელ მარანი, ალბანი, დ. სიმონჩინი, მუკიოლი, ბონინი (ვანუჩი 76), დომენიკონი (ბული 88), მიკელე მარანი, სელვა, გასპერონი (ანდრეინი 66)

**მწვრთნელი:** ჯამპაოლო მაცა

**ირლანდია:** ჰენდერსონი, ფინანი, დანი, ოში (მაკშეინი 46), ჰარტი (ჰანტი 74), დაფი, კარსლი, აირლენდი, კილბეინი, ლონგი (სტოკსი 80), კინი

**მწვრთნელი:** სტივ სტონტონი

**გაფრთხილება:** დ. სიმონჩინი, სელვა

**მსაჯი:** პეტერ რასმუსენი (დანია)

3 294 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 3 | 1 | 0 | 19:2 | 10 |
| ჩეხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:2 | 10 |
| ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:8 | 7 |
| სლოვაკეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12:9 | 6 |
| კვიპროსი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:12 | 4 |
| უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:27 | 0 |

# ამხანაგური მატჩები



ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის ჰოლანდიამ რუსები ბოლოს დახვრიტა

## იბრძენი განსხვავება
### ჰიდინკის სამშობლოში რუსეთი ოთხზე დააყენეს

**ჰოლანდია 4:1 რუსეთი**

1:0 ბაბელი (68), 2:0 სნეიდერი (71), 2:1 ბისტროვი (76), 3:1 მატიისენი (80), 4:1 ვან დერ ვაარტი (893)
**ჰოლანდია:** შტეკელენბურგი, ჯალენსი, მატიისენი, ბუმა, ვან ბრონკჰორსტი, დე იონგი (მენდეს და სილვა 63), ლანძაატი (სნეიდერი 46), ზეედორფი (დე კლერი 78), ვან დერ ვაარტი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (მუნტელაარი 78), კუიტი (ბაბელი 46)
მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი
**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, კოლოდინი, ა. ბერეზუცკი (ვ. ბერეზუცკი 69), ბისტროვი, სემშოვი, ტიტოვი (ალდონინი 58), ბილიალეტდინოვი (სიჩოვი 46), ჟირკოვი, არშავინი (პავლიუჩენკო 72), საენკო
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
მსაჯი: მარკ კლატენბურგი (ინგლისი)
22 000 მაყურებელი

**გუს ჰიდინკის** ხელში რუსეთმა პირველად წააგო — ჰოლანდიისგან გვარიანი ალიყური იგემა.

ამსტერდამულ მატჩში შესვენებამდე დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა. რუსეთის ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და ჰიდინკის გუნდი აბდაუბდას თამაშობდა. პირველ ტაიმში მთლად დალაგებული არც „ნარინჯისფერები“ იყვნენ, მაგრამ მარკო ვან ბასტენმა ისეთი შეცვლები გააკეთა, მეტოქეს ოც წუთში მოუღო ბოლო.

შეცვლაზე შესულმა აიაქსელებმა, რაიან ბაბელმა და უესლი სნეიდერმა სამწუთიან მონაკვეთში ორჯერ გამოატანინეს ბურთი კარიდან იგორ აკინფეევს. ბაბელმა მცველები მიმოფანტა და მეკარეს ახლო ცხრიანში გაუტანა. მსგავსი გოლი შეაგდო სნეიდერმაც. მართალია, ბისტროვმა კოხტა დარტყმით მალევე გაქვითა და რუსებს ფრის შანსი გაუჩინა, მაგრამ ჟორის მატიისენმა დააწინაურა მეტოქე — კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით შეაბრძანა ბადეში.

ბოლოსწინა წუთზე კი დენის კოლოდინი საკუთარ საჯარიმოში აიხლართა, წაიქცა და ბურთს ხელით შეეხო, რის გამოც მსაჯმა პენალტი დანიშნა. რაფაელ ვან დერ ვაარტმა აკინფეევს შანსი არ დაუტოვა — 4:1.

ჰიდინკს პრობლემები ისედაც არ აკლდა — მას სამშობლოში გადასახადების დამალვას აბრალებენ და ათთვიანი პატიმრობა ემუქრება. ამას ამსტერდამში მარცხიც დაემატა.

ჰოლანდიელმა ნამატჩევს თქვა, რომ ასეთი თამაშებით რუსები გამოცდილებას მიიღებენ: „იმ ფეხბურთელებისთვის, რომელთაც სამი კვირის წინ დაიწყეს ვარჯიში, ეს კარგი გაკვეთილი იქნება. მიხარია, რომ ამხანაგურ მატჩში ძლიერ გუნდთან ვითამაშეთ. ასეთი შეხვედრები ბიჭებს გამოცდილებას შემატებს. არ გვეყო ძალა მეორე ტაიმში, რათა ჰოლანდიელებისთვის მოგვეგო, მაგრამ პირველში სათანადო წინააღმდეგობა გავუწიეთ და მხოლოდ ერთხელ შეგვიქმნეს საფრთხე. უნდა ვეცადოთ, რომ ასეთ ძლიერ გუნდებთან, რაც შეიძლება, მეტი შეხვედრა გავმართოთ“.

მარკო ვან ბასტენი: „მეორე ტაიმისთვის შეცვლები გავაკეთე და ჩემმა გუნდმა გარისკა. რისკმა კი გაამართლა და მოვიგეთ კიდეც. ერთ მომენტში ქაოსურადაც ვითამაშეთ, რათა მენახა, რა რეაქცია ექნებოდა მეტოქეს. გუს ჰიდინკი ახალი კაცია რუსეთში და გუნდი რთულ ვითარებაში ჩაიბარა. რუსეთის ნაკრები ბოლო წლებში აშკარად ქვემოთ მიდის, მაგრამ ჰიდინკს კარგი გუნდის შექმნის ნიჭი აქვს და, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ამას მოახერხებს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

Copa Toyota Libertadores '2007

**ლიბერტადორესის თასი 2007**

**შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩები**

**პარანა — კობრელოა 1:1 (2:0); სანტოსი — ბლუმინგი 5:0 (1:0)**

## ესპანეთის 26 წლისთავი
### ინიესტამ მაკლარენსასიამოვნა

**ინგლისი 0:1 ესპანეთი**

0:1 ინიესტა (63)
**ინგლისი:** ფოსტერი, გ. ნევილი (რიჩარდსი 64), ფერდინანდი, ვუდგეიტი (კარაგერი 64), ფ. ნევილი (დაუნინგი 74), რაიტ-ფილიპსი (დეფო 70), ჯერარდი (ბერი 46), კარიკი, ლამპარდი (ბარტონი 78), დაიერი, კრაუჩი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
**ესპანეთი:** კასილიასი, ს. რამოსი (ანხელი 46), პუიოლი (ხავი ნავარო 46), პაბლო, კაპდევილა, ანგულო (ინიესტა 56), ხავი, ალბელდა, დ. სილვა (არისმენდი 65), ვილია (ფაბრეგასი 74), მორიენტესი (ფ. ტორესი 46)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
მსაჯი: მიხაელ ვაინერი (გერმანია)
58 247 მაყურებელი

**ევრო 2008-ის** შესარჩევში დანიასთან მნიშვნელოვანი მატჩის წინ ესპანეთის ნაკრებმა ინგლისს 1:0 მოუგო.

ალბათ დრო იყო „ფურია როხას“ გამარჯვებისა, თორემ ბოლო რამდენიმე თამაშში პირინეელებმა ქომაგებს გულები დაუხეთქა — ჩრდილოირლანდიელებთან, შვედებთან და რუმინელებთან წააგეს.

ესპანეთს ინგლისისთვის სტუმრად ბოლოს 1981 წელს მოეგო...

ინგლისი სტუმრების შესაჭმელად თავიდანვე გაემზადა და ხუთი წუთის განმავლობაში მეტოქე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა. პირველივე სახიფათო კომბინაციისას შონ რაიტ-ფილიპსი მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა, პიტერ კრაუჩი კარგი პასით მოამარაგა და რომ არა შესანიშნავად მოთამაშე პაბლო, ანგარიში გაიხსნებოდა.

კოშმარული წუთების შემდეგ ლუის არაგონესის გუნდმა სული მოითქვა და მასპინძელთა შევიწროებაც დაიწყო. ვალენსიელებმა, ალბელდამ, ანგულომ, სილვამ, მორიენტესმა და ვილიამ მშვენივრად იბურთავეს და მე-19 წუთზე ესპანეთის პირველი სახიფათო მომენტიც მათ გაახერხეს — ვილიამ ანგულოს ჩაუწოდა, ამან მორიენტესს და, როცა ინგლისელთა მეკარე ფოსტერს უკვე აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო, „ელ მოროს“ ფეხი გაუმრუდდა და ბურთი ღრუბლებისკენ გაგზავნა.

ესპანეთი მხნედ და მტკიცედ გამოიყურებოდა, მასპინძელ გუნდს კი მარტო ახმახი პიტერ კრაუჩი ჰყავდა თავდასხმაში იმედად. ვერც დაიერმა გამოიყენა თავისი სისწრაფე, ხოლო ფრენკ ლამპარდს თავისი საუკეთესო მატჩი ნამდვილად არ ჩაუტარებია.

ტერის ტრავმის გამო გაკაპიტნებული სტივ ჯერარდიც ვერ იყო ფორმაში, ოღონდ ერთ ეპიზოდში ჩვეულად კი გაიბრწყინა — კრაუჩი შესანიშავი პასით გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ ახმახი ფორვარდი დაიბნა და იკერ კასილიასს აჩუქა ბურთი.

შესვენების შემდეგ მომხდურები ინგლისელთა საჯარიმოს მიადგნენ, რასაც სტივ მაკლარენის ბიჭებმა უმალ უპასუხეს.

ვილია ხეირიანად გასახდელიდან არ იყო გამოსული, ტორესის პასის მერე სასწაულით რომ ვერ გაიტანა, ხოლო ჯალოსანმა პაბლომ 48-ე წუთზე ფრენკ ლამპარდს ფეხიდან აართვა გოლი.

მერე იყო შესანიშნავი ინიესტა, რომელმაც ანგულო 56-ე წუთზე შეცვალა და მხოლოდ 6 წუთი დასჭირდა, „ოლდ ტრეფორდისთვის“ თავი სამუდამოდ რომ დაემახსოვრებინა — ვილიამ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, სილვას გასროლა ფერდინანდმა განაღმა, მაგრამ იქვე ჩასაფრებულმა ინიესტამ საუცხოო დარტყმით მატჩის ერთადერთი გოლი შეაგდო — ბურთმა ჯერ ძელს აკოცა და მერე შეხტაალდა კარში.

„მატჩის მსვლელობითაა და შედეგით კმაყოფილი ვარ. ინგლისი ძლიერი გუნდია და მასთან გამარჯვება უბრალო რამ არ არის“ — თქვა ლუის არაგონესმა.

„მინდა, ინიესტას შესანიშნავი გოლი მივულოცო. წაგება არ მიყვარს, თუმცა თავს იმით ვიიმედებ, რომ ეპიზოდებში დიდებულად ვითამაშეთ“ — აღნიშნა სტივ მაკლარენმა.

**ლადო ხომერიკი**

## ფეხი თავში, ბურთი კარში
### შვეიცარიულ კედელს ცემენტი აკლია

**გერმანია 3:1 შვეიცარია**

1:0 კურანი (8), 2:0 გომესი (30), 2:1 შტრელერი (71), 3:1 ფრინგსი (66)
**გერმანია:** ლემანი, ა. ფრიდრიხი, მეცელდერი, მერტესაკერი, ლამი, ფრიცი, ფრინგსი (ჰიცლშპერგერი 74), შვაინშტაიგერი (იანსენი 74), ბალაკი (ბოროვსკი 46), კურანი (შლაუდრაფი 83), გომესი (ჰანკე 58)
მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი
**შვეიცარია:** ბენალიო, ფ. დეგენი, გრიხტინგი, სენდეროსი, მანინი (ჯემაილი 59), ბეჰრამი, ბარნეტა (დ. დეგენი 70), ფოგელი (შტრელერი 57), იაკინი (ვონლანტენი 57), მარგარიაცი (ინლერი 78), ფრაი (შპიხერი 57)
მწვრთნელი: კობი კუნი
მსაჯი: რუუდ ბოსენი (ჰოლანდია)
53 000 მაყურებელი

**გერმანიის** ნაკრების ახალწვეულმა, „შტუტგარტის“ ფორვარდმა მარიო გომესმა დებიუტი გოლით აღნიშნა. 15-თვიანი შესვენების შემდეგ ეროვნულ გუნდში კვლავ გამოძახებულმა კევინ კურანიმ მე-15 სანაკრებო შეაგდო, ხოლო მესამე გოლი ტორსტენ ფრინგსმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა...

შვეიცარიელმა მარკო შტრელერმა ამის მერეღა გაქვითა ერთი, ორ მცველს შორის გაძვრა და იენს ლემანის გვერდით გაასრიალა ბურთი — მეზობლების 49-ე შეხვედრა გერმანელთა გამარჯვებით დასრულდა.

მიროსლავ კლოზეს ტრავმის და ლუკაშ პოდოლსკის დისკვალიფიკაციის გამო იოახიმ ლიოვს კურანის და გომესის გამოძახება დასჭირდა. მათაც საქმე ფრიადზე შეასრულეს.

ეს იყო კარგი გავარჯიშება გერმანელებისთვის ჩეხებთან ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩის წინ, რომელიც მარტში პრაღაში გაიმართება და სადაც ლიოვს დისკვალიფიცირებული მიროსლავ კლოზე დააკლდება.

„ორივე ფორვარდმა საუცხოოდ ითამაშა — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა — მიხარია, რომ კარგ ფორმაში ვართ, მაგრამ მთავარი ბრძოლა პრაღაში გველის. იქ გამარჯვების შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ.

მე-8 წუთზე მარჯვენა ფლანგზე მარიო გომესი წააქციეს. საჯარიმო ფრინგსმა შეასრულა, ბალაკის თავური დარტყმა მეკარე დიეგო ბენალიომ მოიგერია, მაგრამ კურანიმ ნახტომში თავითვე საგოლედ დაამატა, მიუხედავად იმისა, რომ ცხვირ-პირში მეტოქის ფეხი მოხვდა.

ნახევარ საათში მასპინძლებმა სხვაობა გაზარდეს. დებიუტანმა მარიო გომესმა კლემენს ფრიცის ჩაწოდებულ ბურთს თავით მიუჩინა ადგილი შვეიცარიელთა კარში.

ტაიმის ბოლოს სტუმრებს ერთის გაქვითვა შეეძლოთ. მარჯვენა ფლანგზე ჰაკან იაკინმა და ალექს ფრეიმ ბურთი გაითამაშეს, იაკინი საჯარიმოში ფრეისგან პასს ელოდა, მაგრამ ფორვარდმა კარში დაარტყმა ამჯობინა და ააცილა.

შესვენებამდე წუთით ადრე ბალაკი დაშავდა და მეორე ნახევარში მის ნაცვლად ტიმ ბოროვსკი შევიდა. უბალაკობამ გერმანელთა ნახევარდაცვა ოდნავ შეასუსტა, მაგრამ სტუმრებისთვის ამას ხეირი არ მოუტანია.



მარიო გომესი

„არ ვიცი როდის განვაახლებ ვარჯიშს. რამდენიმე დღეში ყველაფერი გაირკვევა. იმედია, ტკივილი მალე გამივლის“ — თქვა „ჩელსის“ ნახევარმცველმა ნამატჩევს.

ტორსტენ ფრინგსმა კი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. შვეიცარიელებმა კარგად ვერ დააყენეს კედელი, რომელსაც ბურთმა გადაუფრინა და ცხრიანში შევარდა.

თამაშის მიწურულს მარკო შტრელერმა მეცელდერის და მერტესაკერის შეუთანხმებლობით ისარგებლა და გულის მოსაფხანი გოლი შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომავალში მიმავალი



ამ ზამთრის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ტრანსფერი დევიდ ბექემის „ლოს ანჯელეს გალაქსიში" გადასვლაა — ჯერაც რეალელი „ბექზი" ამერიკულ კლუბს ზაფხულში შეუერთდება. ბევრის აზრით, მადრიდის „რეალის" ნახევარმცველმა ამ გადაწყვეტილებით კარიერა, ფაქტობრივად, დაასრულა. თუმცა, რა თქმა უნდა, ძნელია, გაამტყუნო 31 წლის ფეხბურთელი, რომელსაც 250-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობენ...

ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ესპანელი ჟურნალისტი ფრანსისკო ასედო ტორეგროსა ესაუბრა...

## დევიდ ბექემი: არც ისეთი ვარსკვლავი ვარ, როგორიც ხალხს ჰგონია...

— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამერიკაში გადასვლით კაპიტულაციას აცხადებთ. არადა, მთავარი ტიტულები ჯერ არ მოგიგიათ — მაგალითად, მეიჯორლიგაში „ოქროს ბურთს" ვერ მოიპოვებთ. ნუთუ მართლა თვლით, რომ თქვენი კარიერის პიკი უკვე წარსულშია?

— სულაც არ ვთვლი, რომ მეიჯორლიგაში გადასვლა ჩემს კარიერაში უკან გადადგმული ნაბიჯია. ეს საინტერესო თავგადასავალი იქნება და თქვენ კიდევ დიდხანს მიადევნებთ თვალყურს ჩემს თამაშს. ეს არ არის საპენსიო ნაბიჯი, როგორც ზოგს ჰგონია.

— ადრე თქვით, რომ ამერიკაში ფეხბურთის პოპულარიზაციას შეუწყობთ ხელს, თუმცა თავის დროზე ეს თვით პელემ და იოჰან კრუიფმა ვერ შეძლეს. ასეთი რა უნდა შესთავაზოთ ამერიკელებს?

— პელეს და კრუიფს თავს ნამდვილად ვერ შევადარებ, ისინი გაცილებით დიდი და დაფასებული ფეხბურთელები არიან, ვიდრე მე. თუმცა, როცა ისინი ამერიკაში წავიდნენ, მაშინ ტელევიზია და რეკლამა დიდ როლს ვერ თამაშობდა ფეხბურთში. ახლა კი ამ ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემს საქმეს გაკეთებულად ჩავთვლი, თუ მეიჯორლიგაში მაყურებლების რაოდენობა გაიზრდება, ტელევიზორს უფრო მეტი ადამიანი მიუჯდება და ბავშვები ფეხბურთით დაინტერესდებიან.

— ანუ ცდილობთ დაგვარწმუნოთ, რომ „ლოს ანჯელესში" გადასვლის მთავარი მიზეზი ფული არ არის...

— რა თქმა უნდა! ფული ჩემს ცხოვრებაში მთავარი არ არის. არც „რეალში" მაქვს მცირე შემოსავალი, უბრალოდ, „ლოს ანჯელესთან" გაფორმებული კონტრაქტი განსაკუთრებული და, შესაძლოა, ბოლოც იყოს ჩემს კარიერაში.

— მთავარი კითხვა, რომელიც ქომაგების უმეტესობას აინტერესებს, ასეთია — რაში უნდა დახარჯოს კაცმა 50 მილიონი წელიწადში? ნუთუ თქვენს ოჯახს ასეთი ხარჯები აქვს?

— ჩემს შემოსავალსა და გასავალზე არავისთან ვსაუბრობ, რადგან ეს პირადულია.

— მორალურად თუ ხართ მზად იმ ბარიერისთვის, რომელიც თქვენსა და „ლოს ანჯელესის" სხვა ფეხბურთელებს შორის იქნება? ისინი ხომ ასეთ ხელფასზე ვერც იოცნებებენ...

— საერთოდ, მორიდებული ადამიანი ვარ და არც ამერიკაში ვაპირებ ისეთი ვარსკვლავივით მოქცევას, რომლის გარშემოც ყველა თავს უნდა ხრიდეს. მინდა, მაქსიმალურად დავეხმარო ჩემს კლუბსა და თანაგუნდელებს, რათა ამერიკაში ფეხბურთი ისეთივე პოპულარული გახდეს, როგორც ევროპაშია. სხვათა შორის, იქ ძალიან კარგი მოთამაშეები არიან, რაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატმაც დაამტკიცა. როცა ამ ტრანსფერზე ვმუშაობდით, „ლოს ანჯელესის" წარმომადგენლებმა მითხრეს, რომ მათ სურთ განსაკუთრებული გუნდის შექმნა, რომელშიც გამოცდილი ფეხბურთელების, ახალგაზრდებისა და ევროპიდან ნაყიდი პროფესიონალების სინთეზი იქნება. ვინ რას ფიქრობს ჩემს ხელფასზე, არ მაინტერესებს — თუ ზოგიერთ მოთამაშეს რაიმე პრეტენზია ან კითხვა აქვს, პირადად მათგან უნდა მოვისმინო.

— არც ის გაშინებთ, რომ თქვენგან ძალიან ბევრს ელიან?

— ჩემგან ინგლისის ნაკრებშიც ბევრს ელოდნენ, „მანჩესტერ იუნაიტედშიც" და „რეალშიც". ასე რომ, ამის მერე შიში სისულელე იქნებოდა.

— რა შეგრძნებით ტოვებთ „რეალს" და ახლა როგორ აფასებთ „მანჩესტერიდან" მადრიდში გადასვლას?

— შემეძლო, ბევრად მეტისთვის მიმეღწია და ამის გამო გული მწყდება, თუმცა არასდროს ვნანობ იმას, რაც გავაკეთე, რადგან სანამ ნაბიჯს გადავდგამ, ყოველთვის ბევრს ვფიქრობ. „მანჩესტერიდან" წამოვედი, რათა, როგორც ფეხბურთელი, გავზრდილიყავი. „რეალში" ბევრი ვისწავლე და გადავიტანე, მაგრამ ვერაფერი მოვიგე, თუმცა გამოცდილება კი მივიღე.

— ოთხი წლის წინ შეგეძლოთ, „რეალის" ნაცვლად „ბარსელონაში" გადასულიყავით. არც იმას ნანობთ, რომ კატალონიას მადრიდი არჩიეთ?

— როცა ვამბობ, გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველთვის ბევრს ვფიქრობ-მეთქი, თვეებს არ ვგულისხმობ. რომ გავიგე, „მანჩესტერს" ჩემი გაყიდვა უნდოდა, გადაწყვეტილების მიღება ორ დღეში მომიხდა — არჩევანი მხოლოდ ჩემი გასაკეთებელი იყო და მადრიდი ვარჩიე. ზოგი თვლის, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ მე უკან ყურება არ მიყვარს, მაინც ვერაფერს შევცვლი და არც არაფერს ვნანობ. რა თქმა უნდა, „ბარსაც" ბრწყინვალე კლუბია, მაგრამ მთლიანობაში „რეალში" გატარებული პერიოდი ძალიან სასარგებლო იყო.

— მაინც რა იყო ყველაზე სასარგებლო?

— ყველაზე კარგი ზინედინ ზიდანის გვერდით თამაში გახლდათ. იგი ბრწყინვალე ადამიანი და ფეხბურთელია, ნამდვილი საოცრება, მოვლენა...

— ესე იგი, ზიდანისა და მარკო მატერაცის ცნობილ ინციდენტში ფრანგის მხარეს ხართ?

— ამ თემაზე არაფერს ვიტყვი. მინდორზე ყველა თავისებურად იქცევა, ისე როგორც საჭიროდ თვლის და ამაზე დავას აზრი არა აქვს.

— მაშინ ისევ თქვენზე ვილაპარაკოთ. „რეალში" ვარსკვლავად ჩახვედით და მიდიხართ, როგორც ფეხბურთელი, რომელიც „სამეფო გუნდში" ბოლომდე ვერ გაიხსნა. რამ შეგიშალათ ხელი — მწვრთნელების ხშირმა ცვლამ, პრეზიდენტებმა, დაცვის ცუდმა თამაშმა, თავდამსხმელების ნაკლებობამ, რომლებიც თავით კარგად თამაშობენ თუ სხვა რამემ?

— ყველა ამბობს, რომ „რეალში" ცუდ დროს მოვხვდი, მაგრამ ამაში მე ხომ არ ვარ დამნაშავე?! ვერც ვერავის დავადანაშაულებ, რომ არ გამიმართლა. მთლიანობაში ყველაფრით კმაყოფილი ვარ, თუმცა ვაღიარებ, რომ ოთხი წლის მანძილზე ამდენ მწვრთნელთან შეგუება ადვილი არ იყო. მაგალითად, ინგლისში მწვრთნელების ასე ხშირად ცვლა მიღებული არ არის და ვფიქრობ, სწორადაც.

— არსებობს აზრი, რომ „რეალში" სათანადო პოზიციაზე არ გათამაშებდნენ და ხელი ამანაც შეგიშალათ...

— ვფიქრობ, სანამ „რეალში" გადავიდოდი, ყველა ხედავდა, როგორ ვთამაშობდი „მანჩესტერში". ყოველთვის იმ პოზიციაზე ვიყავი, სადაც მწვრთნელი მაყენებდა და ვცდილობდი, მაქსიმალურად კარგად მეთამაშა. თუმცა ინგლისში მართლაც გაცილებით მეტ თავისუფლებას მაძლევდნენ.

— მაშ რატომ არ დაბრუნდით იქ? ადრე ამბობდნენ, რომ თქვენი ყიდვა „ჩელსის" სურდა და რომან აბრამოვიჩი მზად იყო, კონტრაქტი შემოეთავაზებინა, მაგრამ „რეალში" დარჩენა გადაწყვიტეთ...

— ასეთ საკითხებზე ჩემი აგენტები მუშაობენ და ვიცი, რომ რამდენიმე ინგლისური კლუბი მართლაც იყო ჩემით დაინტერესებული, თუმც დაზუსტებით ვერ გეტყვით, მათ შორის „ჩელსიც" იყო თუ არა. მე ლონდონური კლუბიდან არავისთან მისაუბრია.

— როგორ მიიღეთ ფაბიო კაპელოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ იგი სეზონის ბოლომდე აღარ გათამაშებთ?

— მე პროფესიონალი ვარ და ყოველთვის მშვიდად ვიღებ მწვრთნელის გადაწყვეტილებას. მართალია, კაპელოსი არ მესმის, მაგრამ ვეგუები. „რეალთან" კონტრაქტი ივნისამდე მაქვს და ჩვეულებრივ ვაგრძელებ ვარჯიშს იმ იმედით, რომ მწვრთნელი შემნიშნავს. ახლა კარგ ფორმაში ვარ და ყოველ ტურში უპრობლემოდ ვითამაშებდი, მაგრამ გადაწყვეტილებას კაპელო იღებს და ვერაფერს ვიზამ.

— ალექს ფერგიუსონის ნასროლი ბუცი, კაპელოს გადაწყვეტილება... იქნებ პრობლემა თქვენშია და დიდი მწვრთნელები დევიდ ბექემს ვერ ეგუებიან?

— არა, ეს სულ სხვადასხვა ისტორიებია. ფერგიუსონთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მასთან ძალიან ახლოს ვიყავი. სერ ალექსს ბევრად თბილად დავშორდი, ვიდრე ხალხს ჰგონია. ცხოვრებაში და ფეხბურთში ასეთი რაღაცები ხდება. მაგალითად, გავიხსენოთ როი კინისა და რუუდ ვან ნისტელროის ისტორიები. მე, როი და რუუდი ერთმანეთს არ ვგავართ, მაგრამ ფერგიუსონი სამივეს გაგვეყარა. ასე რომ, საქმე ჩემს ხასიათში არ არის. რაც შეეხება კაპელოს, იგი არ მენდობა და არ ვიცი, რატომ — მე არ მიკითხავს და არც მას უთქვამს.

— როგორ ფიქრობთ, კარიერას რომ დაამთავრებთ, დიდ ფეხბურთელად გაგიხსენებენ?

— ჩემთვის საკმარისი იქნება, თუ იტყვიან, რომ პატიოსანი და პროფესიონალი მოთამაშე ვიყავი. ამას გულწრფელად გეუბნებით.

— თქვენთვის ტვირთი არ არის ასეთი პოპულარობა და მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ფეხბურთელობა?

— ვცდილობ, ფეხბურთსგარეთ, რაც შეიძლება, ნაკლებად შესამჩნევი ვიყო, მაგრამ ძნელია. ვშიშობ, ამერიკაშიც ასე იქნება.

— რა თქმა უნდა, ასე იქნება. იქაურმა ფანებმა უკვე ვებგვერდიც გახსნეს, რომელიც თქვენს ტრანსფერს ეხება. არ გინახავთ?

— ინტერნეტს იშვიათად ვიყენებ. ტელევიზორს უფრო ხშირად ვუყურებ.

— ამბობენ, ანდრეი შევჩენკოს „ჩელსიში" გადასვლაში მისმა მეუღლემ დიდი როლი ითამაშა. მოახდინა თუ არა გავლენა ვიქტორიამ თქვენზე და რა აზრის არის ის „ლოს ანჯელესთან" გაფორმებულ კონტრაქტზე?

— ყველა გადაწყვეტილებას, რომელიც ჩემს კარიერას ეხება, მე ვიღებ და არა ჩემი ცოლი. თუმცა ვიქტორიას ეს ამბავი გაუხარდა, მას მოსწონს ლოს ანჯელესი.

— თქვენ ჰოლივუდის ვარსკვლავ ტომ კრუზთან მეგობრობთ. მას ხომ არ ურჩევია ამერიკაში გადასვლა?

— ტომთან დიდი ხანია, ვმეგობრობ და იგი მართლა მარწმუნებდა, „ლოს ანჯელესის" წინადადებას დავთანხმებოდი. თუმცა ვიმეორებ: კონტრაქტს იმიტომ მოვაწერე ხელი, რომ ეს კლუბი და მისი პროექტი მაინტერესებს. რა არის იმაში ცუდი, თუ მომავალ სეზონში ჩვენს მატჩებს ჰოლივუდის ვარსკვლავები დაესწრებიან?! ჩვენი მთავარი მიზანი ამერიკაში ფეხბურთის პოპულარიზაციაა.

— კრუზს თქვენთვის მსახიობობა არ შემოუთავაზებია?

— ისევ ვიმეორებ: ამერიკაში ფეხბურთის სათამაშოდ მივდივარ. რაც შეეხება მსახიობობას, ეს რთული პროფესიაა. ამას მაშინვე მივხვდი, როცა რამდენიმე უბრალო რეკლამაში გადამიღეს. ჯერჯერობით მსახიობობას არ ვგეგმავ.

— ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რონალდუს ჩურჩულები



ჟორჟე მენდეში და ჩიკი ბეგირისტაინი

**პაპარაცებმა** ფოტოზე აღბეჭდეს „ემირატის" ტრიბუნებზე გვერდი-გვერდ მჯდომი „ბარსას" დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი და კრიშტიანუ რონალდუს აგენტი ჟორჟე მენდეში. მანამდე ისინი ერთმანეთს სასტუმროშიც შეხვედრიან.

ამ შეხვედრამ, მგონი, უნდა გააბრაზოს სერ ალექს ფერგიუსონი, რომელიც ცალკე „რეალს" უმკლავდება, ახლა კიდევ, კატალონიელებსაც უნდა გაუმაგრდეს. თანაც, ამ დღეებში რონალდუმ თქვა, სულაც არ ვიცი, ექვსი თვის თავზე სად ვიქნებიო.

ფრენკ რაიკარდმა რონალდუს დღევანდელ ფეხბურთში ერთ-ერთი ღირებული მოთამაშე უწოდა და „ბარსას" ულირს, რომ მასში სარეკორდო თანხა გადაიხადოს, ეგებ უფრო ძვირიც, ვიდრე „რეალმა" ზინედინ ზიდანში გაიღო.

მოკლედ, „ბარსა" ჩალიჩობს, თუმცა სენიორ ბეგირისტაინმა ამბავი თითქოს შორს დაიჭირა: „ჟორჟე მენდეში ჩემი მეგობარია. წლებია, ერთმანეთს ვიცნობთ, ჩვენთვის ბევრი მოთამაშე მოუყვანია. ბრაზილია — პორტუგალიის თამაშზე „ბარსას" წარმომადგენლების დასწრება დიდი ხანია, დაგეგმილი იყო. მე, უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებ".

**ირაკლი გამყრელიძე**

# მაურინიუმ მიკელი მოკვეთა
## ჩელსი ფიფაში ჩივილით იმუქრება



**ლონდონის** „ჩელსის" მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ ნიგერიელი ნახევარმცველი ჯონ ობი მიკელი გუნდიდან მოკვეთა. ამბობენ, შესაძლოა, პორტუგალიელმა სპეციალისტმა 19 წლის ნახევარმცველი ტრანსფერზე დააყენოსო.

საქმე ისაა, რომ მიკელმა ნიგერია — განას (1:4) ამხანაგურ მატჩში სრულად ითამაშა, რამაც მაურინიუ გააცოფა. მისი აზრით, დიდი შანსი იყო, მიკელს ტრავმა გაემიზეზებინა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მიკელსა და მაურინიუს შორის უთანხმოება ხდება.

ნიგერიის ნაკრების მწვრთნელმა აუგუსტინ ეგუავონმა კი თქვა, ჯონის არაფერი აწუხებს და მაურინიუს, უბრალოდ, ნაკრებში მისი გამოშვება არ უნდოდაო, თუმცა „დეილი მეილის" ცნობით, „ჩელსი" აპირებს, მას ფიფაში უჩივლოს — აქაოდა, ტრავმირებული ფეხბურთელი ათამაშა და მისი ჯანმრთელობა რისკის ქვეშ დააყენაო.

**კოკი კანდელაკი**

# ლამურების ნადირობა მონადირეზე
## ვალენსია ჰუნტელაარს ექაჩება

**ესპანური** „ვალენსია" მომავალი სეზონისთვის ახალ ფეხბურთელებს ეძებს. „ლამურათა" თავკაცობას თვალი ერთი ახალგაზრდა მეგოლისთვის დაუდგამს — ვალენსიური რადიოს ცნობით, კლუბი ამსტერდამის „აიაქსის" 23 წლის თავდამსხმელ კლაას იან ჰუნტელაარის ყიდვას აპირებს.

ჰუნტელაარმა ამ სეზონში (ჰოლანდიის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი და ჰოლანდიის ნაკრები) 20 გოლი გაიტანა.

აიაქსელმა თამაში პსვ-ში დაიწყო და ერედივიზიონში დებიუტი 19 წლისას ჰქონდა. შემდეგ იჯარით სხვადასხვა გუნდებში ითამაშა და რახან პსვ-ს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაუფუჭდა, 2004-05-ის სეზონში 400 ათას ევროდ „ჰერენვენს" მიჰყიდეს. იქ ნახევარი სეზონით გაჩერდა და 15 თამაშში 17 გოლი შეაგდო. ზუსტად მაშინ გამოჩნდა სცენაზე „აიაქსი", უყოყმანოდ იკრა ჯიბეზე ხელი და ჰუნტელაარი 9 მილიონ ევროდ შეიძინა. ხუთ თვეში კლაას იანმა 16 მატჩში 16 გოლი გაიტანა და ჰოლანდიელთა საუკეთესო მეგოლე გახდა. იმ სეზონში „ჰერენვენსა" და „აიაქსში" ერთად ჰუნტელაარმა 33-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი.

ჰუნტელაარი ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო მეგოლედ გამოაცხადა.

„ვალენსიას" შეფებს ძალიან მოსწონთ HUNTER-ი (მონადირე), თუმცა ჰუნტელაარს რამდენიმე ევროპული გრანდიც ეპატიჟება.



კლაას იან ჰუნტელაარს რიგი უდგას

**ლადო ხომერიკი**



# ფერგიუსონს სტალინი უყვარს და სძულს

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი ალექს ფერგიუსონი ლიტერატურის დიდი მოყვარულია — სერ ალექსს განსაკუთრებით ისტორიული ნაწარმოებები იზიდავს.

65 წლის შოტლანდიელის თქმით, ბოლოხანს წაკითხული წიგნებიდან ყველაზე მეტად ამან დააინტერესა — „სტალინი: წითელი მეფის სასამართლო".

— ამ მონოგრაფიამ თვალები ამიხილა. ადამიანმა იმ ქვეყნად 30-40 მილიონი თანამემამულე გაისტუმროს, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელია. ყველამ ვიცით ჰიტლერის საშინელ დანაშაულთა შესახებ, მაგრამ სტალინმა გერმანულ დიქტატორს აშკარად „აჯობა" — განაცხადა ფერგიუსონმა, რომლის საყვარელი პერსონაჟი აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯონ კენედი ყოფილა.

სხვათა შორის, ფერგიუსონი რეგულარულად მონაწილეობს იმ აუქციონებში, სადაც კენედის პირადი ნივთები იყიდება.

**კახა შალამბერიძე**

# მანჩესტერის ჩამოქვეითება

**„მანჩესტერ იუნაიტედი"** მსოფლიოს უმდიდრეს კლუბთა სიაში მეორედან მეოთხე ადგილზე ჩამოვარდა.

პირველი კვლავაც მადრიდის „რეალია", მას კი „ბარსელონა" მისდევს.

თუმცა მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ პრემიერლიგა ყველაზე მდიდარი ლიგაა მსოფლიოში, ვინაიდან უმდიდრესთა ოცეულში რვა ინგლისური კლუბია: „ჩელსი" (მე-6) „არსენალი" (9), „ლივერპული" (10) „ნიუკასლი" (13), „ტოტენჰემი" (15), „სიტი" (17) და „ვესტ ჰემი" (19).

ექსპერტთა ცნობით, „მანჩესტერი" იმიტომ ჩამოქვეითდა, რომ სტადიონის განვითარების პროგრამაში დიდი ფული ჩადო, მომავალ სეზონში კი შემოსავლებით, კვლავ მაღლა აიწევს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მილანის რეკლამა რონალდინიოს

**რონალდინიოს** ძმას და აგენტს რობერტო დე ასისს კატალონიური „ბარსელონას" ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მოსვლია — ამბობენ, მხარეები 26 წლის ვარსკვლავის სარეკლამო შემოსავლებს ვერ იყოფენო. ამით კი იტალიური „მილანი" ცდილობს, ისარგებლოს და რონალდინიო ხელში ჩაიგდოს. თუ რონალდინიო „მილანში" გადასვლას დაყაბულდება, კლუბი მას სარეკლამო შემოსავლების დიდ ნაწილს დაუთმობს და ხელფასად წელიწადში 10-11 მილიონ ევროს დაუნიშნავს.

# იუვეს პროექტი დაუმტკიცეს

**ორიოდ** დღის წინ გაუწყეთ, ტურინის „იუვენტუსს" „დელე ალპის" რეკონსტრუქციის ახალი პროექტი აქვსო. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ის მოიწონა და დაამტკიცა, თუმცა „დელე ალპის" რეკონსტრუქციისთვის საჭირო 130 მილიონ ევროს აპენინური ფეხბურთის მამები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიღებენ, თუ იტალიას 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მისცემენ.

ახალი „დელე ალპი" 42 ათას ქომაგს დაიტევს.

# სილვას იტალიიდან უყურებენ

**ტურინული** „ტუტოსპორტის" ცნობით, ბრაზილია — პორტუგალიის ამხანაგური მატჩს „იუვენტუსის" სკაუტი მაურო სანდრეანი დაესწრო. იგი თურმე პენტაკამპეონთა და ლონდონის „არსენალის" ცენტრალურ ნახევარმცველ ჟილბერტო სილვას აკვირდებოდა.

ამბობენ, 30 წლის ფეხბურთელისთვის მილანის „ინტერსაც" დაუდგამს თვალიო.

# არტეტას სამშობლოში უხმობენ

**მადრიდის** „ატლეტიკო" მზად არის, ინგლისური „ევერტონის" ნახევარმცველ მიკაელ არტეტაში 5 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. 24 წლის ფეხბურთელით „სარაგოსაც" ყოფილა დაინტერესებული.

არტეტა „ევერტონს" 2010 წლამდე ეკუთვნის.

**გიორგი კაკაბაძე**



რობერტო ბაჯო

# ათის ფარგლები

## როგორი ვარცხნილობა აქვს ზიდანს?

*უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა, ჩვენი აზრით, საინტერესო ათპუნქტიანი წერილი, რომელსაც მსოფლიოს საუკეთესო ათი ნომრების განმსაზღვრელი სახელმძღვანელო უნოდა. არის თუ არა უეფას მიერ შემოთავაზებული დეფინიცია ერთადერთი ჭეშმარიტება? ვფიქრობთ, ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის ქონა ცოტა სახიფათო რამ არის თავად უეფას ექსპერტებისა თუ ჟურნალისტებისთვისაც კი, მით უფრო, რომ ფეხბურთი ის სფეროა, რომელიც მკაცრ კატეგორიებს თან ექვემდებარება და თან არა.*

*მოკლედ, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგსაც მღვდლის ცოლი, მაგრამ იმავდროულად მარტო მოწონებაზეც არ არის საქმე და სანამ ფილოსოფიას მთლად დავუბნევივართ, მოდით, უეფას წერილს გავეცნოთ...*

### 1. ორფეხები

უძლიერესი ათი ნომრები მეტწილად ორივე ფეხით თამაშობენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ზიკო, იოჰან კრუიფი, პელე და ზინედინ ზიდანი, მაგრამ არის კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია — თუ დიდი ათი ნომერი ორივე ფეხით ერთნაირად ვერ თამაშობს, მაშინ ის ცაციაა. მაგალითი გნებავთ? დიეგო მარადონა, მარიო კორსო, ფერენც პუშკაში, გეორგე ჰაჯი და რივალდო.

### 2. კერპები

ათი ნომრები განსაკუთრებით უყვართ. ამის კარგი მაგალითია რობერტო ბაჯო, რომლის „ფიორენტინადან" წასვლამ თავის დროზე მასობრივი უწესრიგობები გამოიწვია.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპინატზე ბაჯო იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ არ წაიყვანა, რის გამოც არათუ უბრალო ხალხმა, ცნობილმა მსახიობებმაც კი ჩაიცვეს მაისურები საპროტესტო წარწერებით. შემდეგ, როდესაც ტრაპატონიმ იგი გამოსათხოვარი მატჩისთვის გამოიძახა, 30 ათასმა გენუელმა ქომაგმა ფეხზე ადგომით მოუწყო ოვაცია. მაგალითების მოყვანა სხვა ათი ნომრების ცხოვრებიდანაც შეიძლებოდა, თუმცა, ვფიქრობთ, საკმარისია და დავძენთ, რომ ასეთი მისტიკური სიყვარულის ობიექტები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ათიანები არიან.

### 3. მწვრთნელთაგან შერისხულები

წინა სეზონში ალესანდრო დელ პიერომ უცნაური რეკორდი დაამყარა — ჩემპიონატის განმავლობაში შეცვლაზე შესულმა ექვსი გოლი გაიტანა და ყოზე ალტაფინის მიღწევა გაიმეორა. სერია A-ს ერთ სეზონში ამაზე მეტი, მთელი ისტორიის მანძილზე, არც ერთ შემცვლელს არ შეუგდია.

ცნობილია, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომას მოთამაშეები ვერ იტანენ, მაგრამ დელ პიერომ და ფინელმა იარი ლიტმანენმა (ამ მხრივ ყველაზე დაჩაგრულები ისინი გახლავან) უნდა იცოდნენ, რომ სკამზე ჯდომა დიდი ათი ნომრობის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთიცაა. აბა, მწვრთნელებმა ყოველ ტურში რომ ათამაშონ, გულშემატკივრები რაღაზე იკამათებდნენ?!

### 4. ისინი თამაშის ბედს ატრიალებენ

არსენ ვენგერმა ხუან რომან რიკელმეზე ასე თქვა: მას შეუძლია, თამაში შეანელოს, მიგაძინოს და მერე მოგკლას. მეტოქის მოკვლა და თამაშის ბედის შემოტრიალება შეეძლოთ პუშკაშსა და მარადონას, შეუძლიათ ფრანჩესკო ტოტისა და უეინ რუნის და საამისოდ ყველას თავისი ხერხი აქვს — მოულოდნელი დარტყმა, მოულოდნელი შეყოვნება, დრიბლინგი, დარტყმა ფეხის შეუმჩნეველი მოქნევით და სხვა.

რონალდინიოს ქომაგები ამბობენ, რომ მათ კერპს ამ თვისებათაგან ყველა აქვს და მისი ნახვა რობი უილიამსის კონცერტზე დასწრებას ურჩევნიათ.

### 5. გაქრობა

როდესაც მეათე ნომერი ფორმაშია, მას ვერავინ და ვერაფერი სჯობს, მაგრამ თუ ის ცუდად თამაშობს, საერთოდ არის თუ არა მოედანზე, საკითხავი ხდება.

### 6. სტანდარტულები

რონალდინიო, დელ პიერო, რიკელმე, ბაჯო და თუ გნებავთ რუნიც კი საჯარიმოებს ჯადოსნურად ასრულებენ. საინტერესო ის არის, რომ მეტოქეებმა ხშირად წინასწარვე კარგად იციან, თუ რა მოხდება, როდესაც ეს ათი ნომერი ბურთს ფეხს დაარტყამს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან.

### 7. ლამაზი გოლები

1994 წელს, ამერიკაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე კოლუმბიელი მეკარე ოსკარ კორდობა სულ ოდნავ არასწორად იდგა, მაგრამ „კარპატელი" მარადონასთვის — ალბათ, გასაგებია, რომ რუმინელ გეორგე ჰაჯიზე ვლაპარაკობთ — ეს „სულ ოდნავ" საკმარისი იყო, რათა 40 მეტრიდან ჩაესვა ბურთი კარში. ანდა, გავიხსენოთ დიეგო მარადონას სლალომი 1986 წელს ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ...

### 8. ტრავმები

ლიტმანენი, დელ პიერო, ბაჯო, პოლ გესქოინი, ზიდანი, რუნი, ტოტი... ყველანი კარიერის განმავლობაში დაშავდნენ და აქ ჩვეულებრივ დაშავებას არ ვგულისხმობთ, ფუნდამენტურ ტრავმაზე გვაქვს ლაპარაკი. ათი ნომრებისთვის ძალიან ხშირია მუხლის მყესების დაზიანებაც.

### 9. კლუბები

დელ პიეროს და ტოტის თავი დავანებოთ, ისინი მთელი კარიერის განმავლობაში ერთ კლუბში თამაშობენ, დანარჩენების გეოგრაფია კი, იცოცხლეთ, ისეთია... საინტერესოა არიელ ორტეგას მაგალითი: რვა წელიწადში შვიდი კლუბი.

### 10. ვარცხნილობა

კოლუმბიელი კარლოს ვალდერამა დაწნული თმით გვახსოვს, რობერტო ბაჯო ცხენისკუდა გახლდათ, რონალდინიოს ვარცხნილობას ხან ბანანს ეძახიან, ხან სხვა რალაცებს. დელ პიეროს ერთი ხანობა ბრუს სპრინგსტინივით ბაკენბარდები ჰქონდა. 70-იან წლებში ორიგინალურად, ვიკინგურად ივარცხნიდა გიუნტერ ნეტცერიც...

**ბაპუნა ძიძია**



პელე


რონალდინიო



დიეგო მარადონა


ფრანჩესკო ტოტი


ზინედინ ზიდანი



კარლოს ვალდერამა



გეორგე ჰაჯი


ფერენც პუშკაში



ზიკო



ალექს დელ პიერო

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 16:45 | 1 | რედინგი-ასტონ ვილა | 2.15 | 3.20 | 3.35 | 1.28 | 1.30 | 1.63 |
| 19:00 | 2 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.30 | 5.10 | 9.00 | 1.03 | 1.13 | 3.25 |
| 19:00 | 4 | ევერტონი-ბლექბერნი | 2.20 | 3.20 | 3.15 | 1.30 | 1.29 | 1.58 |
| 19:00 | 5 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1.16 | 6.60 | 15.00 | 1.00 | 1.07 | 4.58 |
| 19:00 | 7 | ნიუკასლი-ლივერპული | 3.85 | 3.20 | 1.95 | 1.74 | 1.29 | 1.21 |
| 19:00 | 9 | შეფილდი-ტოტენჰემი | 2.85 | 3.20 | 2.40 | 1.50 | 1.30 | 1.37 |
| 19:00 | 10 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 1.85 | 3.30 | 4.30 | 1.18 | 1.29 | 1.86 |
| 21:15 | 11 | პორტსმუთი-სიტი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 17:30 | 12 | ბოლტონი-ფულემი | 1.65 | 3.40 | 5.70 | 1.11 | 1.27 | 2.12 |
| 20:00 | 13 | არსენალი-უიგანი | 1.22 | 5.60 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.81 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 15 | საუთენდი-ქპრ | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 17 | ბარნსლი-კოლჩესტერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 18 | ბარნლი-უენსდი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 19 | ქოვენთრი-კარდიფი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 19:00 | 20 | დერბი-ჰალი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 19:00 | 21 | იფსვიჩი-ლესტერი | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 19:00 | 22 | ლიდსი-კრ. პალასი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 23 | ლუტონი-ნორვიჩი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 24 | პლიმუთი-სანდერლენდი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 25 | პრესტონი-ვულვზი | 1.75 | 3.30 | 4.35 | 1.14 | 1.24 | 1.87 |
| 19:00 | 26 | ვესტ ბრ-საუთჰემპტონი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 15:30 | 16 | ბირმინგემი-სტოკი | 1.75 | 3.30 | 4.35 | 1.14 | 1.24 | 1.87 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 28 | ბორნმუთი-ლეიტონი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 29 | ბრენტფორდი-ბრაიტონი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 30 | ბრისტოლი-ჰადერსფილდი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 31 | კარლაილი-იოვილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 32 | ქრიუ-სკანთორპი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 19:00 | 33 | ჯილინგემი-ბრედფორდი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 34 | მილუოლი-ჩესტერფილდი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 35 | ნოტინგემი-ნორთჰემპტონი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 36 | პორტ ვეილი-ჩელტენემი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| 19:00 | 37 | როტერჰემი-ბლეკპული | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 38 | სუონსი-ოლდემი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 39 | ტრანმერი-დონკასტერი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 40 | ჩესტერი-ჰერეფორდი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 41 | ბარნეტი-აკრინგტონი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 42 | დარლინგტონი-ბოსტონი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 43 | გრიმსბი-როვერსი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 44 | ჰარტლპული-უოლსოლი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 45 | ლინკოლნი-ტორკი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 46 | დონსი-მაკლსფილდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 47 | პიტერბრო-რექსემი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 19:00 | 48 | როჩდეილი-სუინდონი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 49 | შრიუსბერი-ბერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 50 | სტოკპორტი-მენსფილდი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 51 | უიკომბი-ნოტსი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 54 | ალდერშოტი-ოქსფორდი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 55 | ალტრინჰემი-იორკი | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 19:00 | 56 | კემბრიჯი-გრეისი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 57 | დაგ ენდ რედი-რაშდენი | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 19:00 | 58 | ექსეტერი-უოკინგი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 19:00 | 59 | ფორესტ გრინ-კიდერმინსტერი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 19:00 | 60 | გრეივსენდი-მორიკომბი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 61 | ჰალიფაქსი-ნორთვიჩი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 19:00 | 62 | სტ.ალბანსი-ქროული | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| 19:00 | 63 | სტივენეიჯი-ბარტონი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 64 | ტემფორთი-საუთპორტი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 19:00 | 65 | ვეიმუთი-სტ.რეინჯერსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 66 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 19:00 | 68 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.30 | 4.80 | 8.00 | 1.02 | 1.11 | 3.00 |
| 19:00 | 70 | ფოლკირკი-მოზერუელი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 71 | ჰართსი-ინვერნესი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 72 | სტ.მირენი-დანდი იუნ. | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 73 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 5.20 | 3.70 | 1.55 | 2.16 | 1.19 | 1.09 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 75 | კლაიდი-ლივინგსტონი | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 19:00 | 76 | დანდი-სტ.ჯონსტონი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 19:00 | 77 | გრეტნა-ერდრი | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 19:00 | 78 | ჰამილტონი-ქუინი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 19:00 | 79 | პარტიკი-როსი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 80 | ალოა-სტრანრარი | 1.90 | 3.40 | 3.35 | 1.21 | 1.21 | 1.68 |
| 19:00 | 81 | ეარი-რეითი | 2.85 | 3.30 | 2.15 | 1.52 | 1.22 | 1.30 |
| 19:00 | 82 | კოუდენბითი-სტირლინგი | 2.95 | 3.30 | 2.10 | 1.55 | 1.22 | 1.28 |
| 19:00 | 83 | მორტონი-ბრეჩინი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 19:00 | 84 | პიტერჰედი-ფორფარი | 1.65 | 3.60 | 4.20 | 1.13 | 1.18 | 1.93 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 85 | ალბიონი-სტენჰაუზმური | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 86 | არბროთი-ელგინი | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 19:00 | 87 | ბერიკი-მონტროუზი | 1.42 | 4.20 | 5.80 | 1.06 | 1.14 | 2.43 |
| 19:00 | 88 | ისტ ფაიფი-დამბარტონი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 89 | ისტ სტ.-ქუინზ პარკი | 4.10 | 3.50 | 1.70 | 1.88 | 1.20 | 1.14 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 92 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.95 | 3.20 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.72 |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 18:30 | 90 | შტუტგარტი-ვერდერი | 2.80 | 3.20 | 2.40 | 1.49 | 1.29 | 1.37 |
| 18:30 | 91 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:30 | 93 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 18:30 | 94 | მაინცი-კოტბუსი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| 18:30 | 96 | გლადბახი-ალემანია | 1.75 | 3.20 | 4.85 | 1.13 | 1.28 | 1.92 |
| 18:30 | 97 | შალკე-ჰერტა | 1.60 | 3.40 | 6.00 | 1.08 | 1.26 | 2.17 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 98 | ბაიერნი-არმინია | 1.25 | 5.10 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.48 |
| 20:00 | 100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 2.60 | 3.10 | 2.65 | 1.41 | 1.31 | 1.42 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 103 | აუგსბურგი-უნტერჰახინგი | 1.90 | 3.10 | 3.65 | 1.17 | 1.24 | 1.67 |
| 21:00 | 104 | ბრაუნშვაიგი-კიოლნი | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 21:00 | 105 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 106 | ბურგჰაუზენი-კობლენცი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:00 | 107 | კარლ ცაისი-ესენი | 2.10 | 3.10 | 3.15 | 1.25 | 1.25 | 1.56 |
| 17:00 | 108 | ფრაიბურგი-მიუნხენი 1860 | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 17:00 | 109 | ფიურტი-აუე | 1.90 | 3.20 | 3.45 | 1.19 | 1.22 | 1.66 |
| 17:00 | 110 | ოფენბახი-პადერბორნი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 111 | დუისბურგი-კარლსრუე | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.) | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 112 | დორტმუნდი(მ)-ზტ.პაული | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 17:00 | 113 | დიუსელდორფი-ოსნაბრიუკი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 17:00 | 114 | ჰერტა(მ)-ვილჰელმშავენი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 17:00 | 115 | ლიუბეკი-ემდენი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 17:00 | 116 | მაგდებურგი-კილი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:00 | 117 | ერფურტი-ალენი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 17:00 | 118 | ვუპერტალი-ჰამბურგი(მ) | 1.60 | 3.50 | 4.55 | 1.09 | 1.18 | 1.97 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 119 | დინამო-გლადბახი(მ) | 1.35 | 3.90 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.62 |
| 17:00 | 120 | ვერდერი(მ)-ლევერკუზენი(მ) | 1.70 | 3.30 | 4.25 | 1.12 | 1.21 | 1.85 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 20:45 | 121 | გრასჰოპერი-ციურიხი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 20:45 | 123 | სტ.გალენი-აარაუ | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 122 | ლუცერნი-სიონი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 19:00 | 124 | შაფჰაუზენი-თუნი | 1.95 | 3.30 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 125 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 126 | სამპდორია-ასკოლი | 1.60 | 3.20 | 6.20 | 1.06 | 1.27 | 2.11 |
| 23:30 | 128 | მესინა-კატანია | 2.40 | 2.90 | 3.10 | 1.31 | 1.35 | 1.49 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 130 | ატალანტა-ლაციო | 2.50 | 2.90 | 3.00 | 1.34 | 1.36 | 1.47 |
| 18:00 | 131 | კალიარი-სიენა | 2.10 | 2.90 | 3.70 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 18:00 | 132 | კიევო-ინტერი | 6.00 | 4.20 | 1.45 | 2.47 | 1.16 | 1.07 |
| 18:00 | 134 | მილანი-ლივორნო | 1.30 | 4.40 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.05 |
| 18:00 | 136 | პალერმო-ემპოლი | 1.65 | 3.20 | 5.80 | 1.08 | 1.28 | 2.06 |
| 18:00 | 137 | რომა-პარმა | 1.30 | 4.20 | 12.00 | 1.00 | 1.17 | 3.11 |
| 18:00 | 139 | ტორინო-რეჯინა | 2.10 | 2.90 | 3.70 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 23:30 | 140 | ფიორენტინა-უდინეზე | 1.70 | 3.10 | 5.80 | 1.09 | 1.31 | 2.02 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 174 | ბეტისი-სევილია | 2.95 | 3.10 | 2.35 | 1.51 | 1.30 | 1.33 |
| 23:00 | 181 | სოსიედადი-რეალი | 3.95 | 3.40 | 1.85 | 1.82 | 1.25 | 1.19 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 171 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 22:00 | 172 | ბარსელონა-რასინგი | 1.33 | 4.20 | 9.50 | 1.01 | 1.16 | 2.91 |
| 20:00 | 176 | სელტა-ესპანიოლი | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| 20:00 | 177 | ხეტაფე-ვალენსია | 2.85 | 3.00 | 2.45 | 1.46 | 1.31 | 1.34 |
| 20:00 | 178 | ტარაგონა-ოსასუნა | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 20:00 | 179 | ლევანტე-უელვა | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 20:00 | 180 | მალიორკა-სარაგოსა | 2.85 | 2.90 | 2.55 | 1.43 | 1.34 | 1.35 |
| 20:00 | 183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 2.05 | 3.10 | 3.50 | 1.23 | 1.29 | 1.64 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 188 | მურსია-კადისი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 21:30 | 189 | პონფერადინა-სპორტინგი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 20:00 | 190 | რეალი(ბ)-ალავესი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 15:00 | 184 | ალმერია-სალამანკა | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 20:00 | 185 | ელჩე-ნუმანსია | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 20:00 | 186 | ლორკა-ლას პალმასი | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 20:00 | 187 | მალაგა -ალბასეტე | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 21:00 | 191 | ტენერიფე-კასტელონი | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 20:30 | 192 | ვალიადოლიდი-სიუდადი | 1.70 | 3.20 | 4.75 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| 22:00 | 193 | ვეცინდარიო-ჰერკულესი | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 20:00 | 194 | ხერესი-ეიბდო | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 2.15 | 2.90 | 3.50 | 1.23 | 1.33 | 1.58 |
| 23:00 | 197 | ლე მანი-სედანი | 1.70 | 3.20 | 5.30 | 1.11 | 1.28 | 1.99 |
| 23:00 | 199 | ლიონი-ლორიანი | 1.30 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.00 |
| 23:00 | 201 | ნანტი-ვალენსიენი | 1.90 | 3.00 | 4.10 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 23:00 | 202 | ნიცა-ტრუა | 1.85 | 3.00 | 4.40 | 1.14 | 1.30 | 1.78 |
| 20:10 | 203 | პსჟ-მონაკო | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 23:00 | 204 | რენი-ნანსი | 1.80 | 3.00 | 4.70 | 1.12 | 1.30 | 1.83 |
| 23:00 | 205 | ტულუზი-ლილი | 2.55 | 3.00 | 2.75 | 1.37 | 1.32 | 1.43 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 196 | ბორდო-მარსელი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 21:00 | 198 | ლანსი-სოშო | 1.80 | 3.10 | 4.70 | 1.13 | 1.30 | 1.86 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 208 | აიაჩო-კრეტეი | 1.75 | 3.00 | 5.00 | 1.10 | 1.29 | 1.87 |
| 23:00 | 210 | ბრესტი-დიჟონი | 2.60 | 2.80 | 2.80 | 1.34 | 1.34 | 1.39 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 211 | კანი-ლე ავრი | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 23:00 | 212 | გრენობლი-ამიენი | 2.00 | 2.90 | 3.80 | 1.18 | 1.31 | 1.64 |
| 23:00 | 213 | გენიონი-გენგამი | 2.00 | 2.90 | 3.65 | 1.18 | 1.29 | 1.61 |
| 23:00 | 214 | ისტრი-შატორუ | 2.75 | 2.80 | 2.55 | 1.38 | 1.32 | 1.33 |
| 23:00 | 215 | ლიბურნი-მონპელიე | 2.30 | 2.80 | 3.10 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| 23:00 | 216 | რეიმსი-ნიორი | 1.60 | 3.20 | 5.50 | 1.06 | 1.23 | 2.02 |
| 23:00 | 217 | სტრასბური-ტუარი | 1.40 | 3.70 | 8.00 | 1.01 | 1.19 | 2.52 |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 209 | ბასტია-მეცი | 2.70 | 2.80 | 2.60 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 218 | ვარეგემი-სტანდარდი | 3.70 | 3.30 | 1.90 | 1.74 | 1.25 | 1.20 |
| 23:00 | 219 | ბრიუსელი-ლიერსი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 23:00 | 220 | გენკი-სერკლი | 1.27 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.12 | 3.19 |
| 23:00 | 221 | ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| 23:00 | 222 | ლოკერენი-რუზელარე | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:00 | 223 | მუსკრონი-ბევერენი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 23:00 | 224 | ვესტერლო-მონსი | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 225 | ბრიუგე-ანდერლეხტი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 21:00 | 226 | შარლერუა-გენტი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 227 | დესელი-ტინენი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 23:00 | 228 | დაინცე-ვირტონი | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 23:00 | 229 | ეუპენი-ოსტენდე | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:00 | 230 | ვაასლანდი-კორტრაიკი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 23:00 | 231 | ტუბეკე-ანტვერპენი | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 232 | დენდერი-მეხელენი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 233 | პევერლე-ლომელი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 234 | სტ.ჟილი-რონსე | 1.60 | 3.40 | 4.65 | 1.08 | 1.19 | 1.96 |
| 18:00 | 235 | ვიგორი-რ ვარეგემი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 236 | ექსელსიორი-გრონინგენი | 3.35 | 3.40 | 1.95 | 1.68 | 1.23 | 1.23 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 237 | ჰერენვენი-ვიტესი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 22:30 | 238 | როდა-ნაიმეგენი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 23:00 | 239 | ალკმაარი-ტილბურგი | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 23:00 | 241 | ვალვაიკი-ჰერაკლესი | 1.90 | 3.40 | 3.35 | 1.21 | 1.21 | 1.68 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 15:30 | 242 | დენ ჰააგი-აიაქსი | 7.20 | 4.00 | 1.40 | 2.57 | 1.17 | 1.03 |
| 15:30 | 244 | ტვენტე-ფეიენოორდი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 17:30 | 245 | სპარტა-პსვ | 7.00 | 3.70 | 1.45 | 2.42 | 1.20 | 1.04 |
| 17:30 | 247 | უტრეხტი-ბრედა | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 248 | აპელდორნი-ოსი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| 23:00 | 249 | ვეენდამი-მაასტრიხტი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:00 | 250 | დენ ბოსხი-გრააფსხაპი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 23:00 | 251 | დორდრეხტი-ჰაარლემი | 1.55 | 3.60 | 5.35 | 1.08 | 1.20 | 2.15 |
| 23:00 | 252 |ეინდჰოვენი-იგლსი | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 23:00 | 253 | სიტარდი-კამბური | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 23:00 | 254 | ალმერე-ვოლენდამი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 23:00 | 255 | ტელსტარი-ემენი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:00 | 256 | ვენლო-როზენდალი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 23:00 | 257 | ზვოლე-ჰელმონდი | 1.65 | 3.55 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.94 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 18:45 | 258 | ერგოტელისი-აეკ | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 21:00 | 259 | პანიონიოსი-არისი | 2.10 | 2.90 | 3.45 | 1.21 | 1.30 | 1.57 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 260 | ატრომიტოსი-ეგალეო | 1.85 | 3.10 | 3.95 | 1.15 | 1.25 | 1.73 |
| 18:45 | 262 | კალამარია-პაოკ | 2.80 | 2.90 | 2.45 | 1.42 | 1.30 | 1.32 |
| 18:45 | 263 | ქსანთი-ოლიმპია | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 21:00 | 264 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1.18 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.08 | 3.86 |
| 21:00 | 265 | პანათინაიკოსი-ოფი | 1.16 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.05 | 4.00 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 266 | ანკარაგიუჯიუ-კაისერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 21:00 | 268 | ბეშიქთაში-დენიზლი | 1.32 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.13 | 2.75 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 273 | რიზე-ფენერბაჩე | 5.20 | 3.50 | 1.60 | 2.09 | 1.22 | 1.09 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 267 | ანტალია-კონია | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 16:00 | 270 | ერჟიესი-ანკარა | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 21:00 | 271 | გალათასარაი-მანისა | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 16:00 | 272 | გენჩლერბირლიგი-ბურსა | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 16:00 | 275 | სკარია-სივასპორი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 276 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 318 | ბოავიშტა-ნასიონალი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 19:00 | 319 | მაია-ბეირა მარი | 4.80 | 3.50 | 1.60 | 2.02 | 1.20 | 1.09 |
| 23:45 | 320 | ვარზიმი-ბენფიკა | 12.00 | 5.20 | 1.20 | 3.62 | 1.09 | 1.00 |
| | | ფინეთი. თასი | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 19:45 | 519 | იარო-ვპს | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | როიალ ლიგა | | | | | | |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 322 | კოპენჰაგენი-ბრიონდბიუ | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| | | კალათბურთი. | | | | | | |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 483 | ოლიმპია-პანიონიოსი | 1.80 | 12.00 | 1.90 | 1.56 | 1.00 | 1.64 |
| 19:00 | 484 | არისი-მაკედონიკოსი | 1.04 | 12.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| 19:00 | 485 | აეპ-მარუსი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 19:00 | 486 | აეკ-პანათინაიკოსი | 6.00 | 12.00 | 1.06 | 4.00 | 1.00 | 1.00 |
| 20:00 | 487 | ოლიმპიაკოსი-აპოლონი | 1.02 | 12.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| 21:00 | 488 | პაოკ-აელ | 1.05 | 12.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 489 | ეგალეო-პანელინიოსი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| | | ჩოგბურთი. კაცები ვროცლავი | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 13:00 | 608 | ბოგდანოვიჩი-ზიბი | 1.80 | 1.80 | | | | |
| 13:00 | 609 | მერტლი-ბუბკა | 1.80 | 1.80 | | | | |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | რედინგი-ასტონ ვილა | 2.55 | 2.00 | 3.75 | 1.12 | 1.51 | 1.30 |
| 10002 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.50 | 2.80 | 9.00 | 1.00 | 1.28 | 2.13 |
| 10004 | ევერტონი-ბლექბერნი | 2.65 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.52 | 1.28 |
| 10005 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1.35 | 3.10 | -12.00 | 1.00 | 1.21 | 2.46 |
| 10007 | ნიუკასლი-ლივერპული | 4.20 | 2.00 | 2.40 | 1.35 | 1.52 | 1.09 |
| 10009 | შეფილდი-ტოტენჰემი | 3.25 | 2.00 | 2.85 | 1.23 | 1.51 | 1.17 |
| 10010 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 2.25 | 2.00 | 4.65 | 1.05 | 1.51 | 1.39 |
| 10011 | პორტსმუთი-სიტი | 2.30 | 2.10 | 4.40 | 1.09 | 1.51 | 1.42 |
| 10012 | ბოლტონი-ფულემი | 2.05 | 2.10 | 5.80 | 1.03 | 1.51 | 1.54 |
| 10013 | არსენალი-უიგანი | 1.45 | 3.00 | 10.00 | 1.00 | 1.26 | 2.30 |
| 10066 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.85 | 2.20 | 6.30 | 1.00 | 1.43 | 1.63 |
| 10070 | ფოლკირკი-მოზერუელი | 2.55 | 2.00 | 3.70 | 1.12 | 1.50 | 1.29 |
| 10071 | ჰართსი-ინვერნესი | 2.05 | 2.10 | 5.25 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10072 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 2.75 | 2.00 | 3.20 | 1.15 | 1.47 | 1.23 |
| 10090 | შტუტგარტი-ვერდერი | 3.20 | 2.00 | 2.85 | 1.23 | 1.50 | 1.17 |
| 10091 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2.65 | 2.00 | 3.75 | 1.13 | 1.55 | 1.30 |
| 10092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2.40 | 2.00 | 3.95 | 1.09 | 1.49 | 1.32 |
| 10093 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 2.15 | 2.10 | 5.20 | 1.06 | 1.52 | 1.49 |
| 10094 | მაინცი-კოტბუსი | 2.50 | 2.00 | 4.10 | 1.11 | 1.55 | 1.34 |
| 10096 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 2.15 | 2.00 | 4.80 | 1.03 | 1.48 | 1.41 |
| 10097 | შალკე-ჰერტა | 2.05 | 2.10 | 5.70 | 1.03 | 1.50 | 1.53 |
| 10098 | ბაიერნი-არმინია | 1.53 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.28 | 2.07 |
| 10100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 3.10 | 2.00 | 3.15 | 1.21 | 1.56 | 1.22 |
| 10171 | ატლეტიკო-ბილბაო | 2.20 | 2.10 | 5.00 | 1.07 | 1.52 | 1.47 |
| 10172 | ბარსელონა-რასინგი | 1.60 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.33 | 1.90 |
| 10174 | ბეტისი-სევილია | 3.45 | 2.00 | 2.75 | 1.26 | 1.53 | 1.15 |
| 10176 | სელტა-ესპანიოლი | 2.70 | 2.00 | 3.55 | 1.14 | 1.53 | 1.27 |
| 10177 | ხეტაფე-ვალენსია | 3.25 | 2.00 | 2.80 | 1.23 | 1.50 | 1.16 |
| 10178 | ტარაგონა-ოსასუნა | 3.15 | 2.00 | 2.95 | 1.22 | 1.52 | 1.19 |
| 10179 | ლევანტე-უელვა | 2.90 | 2.00 | 3.10 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10180 | მალიორკა-სარაგოსა | 3.25 | 1.90 | 2.95 | 1.19 | 1.54 | 1.15 |
| 10181 | სოსიედადი-რეალი | 4.40 | 2.00 | 2.30 | 1.37 | 1.51 | 1.06 |
| 10183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 2.45 | 2.00 | 3.85 | 1.10 | 1.49 | 1.31 |
| 10195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 2.65 | 1.90 | 4.00 | 1.10 | 1.59 | 1.28 |
| 10196 | ბორდო-მარსელი | 2.55 | 1.90 | 4.10 | 1.08 | 1.57 | 1.29 |
| 10197 | ლე მანი-სედანი | 2.25 | 1.90 | 5.00 | 1.03 | 1.55 | 1.37 |
| 10198 | ლანსი-სოშო | 2.30 | 2.00 | 4.80 | 1.06 | 1.55 | 1.41 |
| 10199 | ლიონი-ლორიანი | 1.65 | 2.40 | 8.50 | 1.00 | 1.38 | 1.87 |
| 10201 | ნანტი-ვალენსიენი | 2.45 | 1.90 | 4.60 | 1.07 | 1.59 | 1.34 |
| 10202 | ნიცა-ტრუა | 2.35 | 1.90 | 4.55 | 1.05 | 1.54 | 1.34 |
| 10203 | პსჟ-მონაკო | 2.65 | 1.90 | 3.85 | 1.10 | 1.56 | 1.27 |
| 10204 | რენი-ნანსი | 2.35 | 1.90 | 5.00 | 1.05 | 1.59 | 1.37 |
| 10205 | ტულუზი-ლილი | 2.95 | 1.80 | 3.20 | 1.11 | 1.53 | 1.15 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | რედინგი-ასტონ ვილა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11002 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.40 | 15.00 | 40.00 | 3.50 | 6.00 | 17.00 | 25.00 | 17.00 | 17.00 |
| 11004 | ევერტონი-ბლექბერნი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11007 | ნიუკასლი-ლივერპული | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.90 |
| 11009 | შეფილდი-ტოტენჰემი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11010 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11011 | პორტსმუთი-სიტი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11012 | ბოლტონი-ფულემი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11013 | არსენალი-უიგანი | 1.40 | 15.00 | 40.00 | 3.50 | 6.00 | 17.00 | 25.00 | 17.00 | 17.00 |
| 11066 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11068 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11070 | ფოლკირკი-მოზერუელი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11071 | ჰართსი-ინვერნესი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11072 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11073 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 8.00 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11090 | შტუტგარტი-ვერდერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11091 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11093 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11094 | მაინცი-კოტბუსი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11096 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11097 | შალკე-ჰერტა | 2.15 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 9.00 |
| 11098 | ბაიერნი-არმინია | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11171 | ატლეტიკო-ბილბაო | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11172 | ბარსელონა-რასინგი | 1.90 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11174 | ბეტისი-სევილია | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11176 | სელტა-ესპანიოლი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11177 | ხეტაფე-ვალენსია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11178 | ტარაგონა-ოსასუნა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11179 | ლევანტე-უელვა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11180 | მალიორკა-სარაგოსა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11181 | სოსიედადი-რეალი | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.90 |
| 11183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11196 | ბორდო-მარსელი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.30 | 4.20 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.10 |
| 11197 | ლე მანი-სედანი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11198 | ლანსი-სოშო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11199 | ლიონი-ლორიანი | 1.65 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11201 | ნანტი-ვალენსიენი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11202 | ნიცა-ტრუა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11203 | პსჟ-მონაკო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11204 | რენი-ნანსი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11205 | ტულუზი-ლილი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ჩამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | რედინგი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12002 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.90 | 1.70 |
| 12004 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 2.20 | 1.50 |
| 12007 | ნიუკასლი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12009 | შეფილდი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | პორტსმუთი-სიტი | 1.60 | 2.00 |
| 12012 | ბოლტონი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | არსენალი-უიგანი | 2.00 | 1.60 |
| 12066 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.70 | 1.90 |
| 12068 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 2.20 | 1.60 |
| 12070 | ფოლკირკი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 12071 | ჰართსი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 12072 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 1.90 |
| 12073 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 2.00 | 1.60 |
| 12090 | შტუტგარტი-ვერდერი | 2.10 | 1.55 |
| 12091 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 12092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12093 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 2.00 | 1.60 |
| 12094 | მაინცი-კოტბუსი | 1.70 | 1.90 |
| 12096 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 1.90 | 1.70 |
| 12097 | შალკე-ჰერტა | 1.90 | 1.70 |
| 12098 | ბაიერნი-არმინია | 2.00 | 1.60 |
| 12100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 12171 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.60 | 2.00 |
| 12172 | ბარსელონა-რასინგი | 1.90 | 1.70 |
| 12174 | ბეტისი-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 12176 | სელტა-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 12177 | ხეტაფე-ვალენსია | 1.60 | 2.00 |
| 12178 | ტარაგონა-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12179 | ლევანტე-უელვა | 1.60 | 2.00 |
| 12180 | მალიორკა-სარაგოსა | 1.60 | 2.00 |
| 12181 | სოსიედადი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1.60 | 2.00 |
| 12195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.00 |
| 12196 | ბორდო-მარსელი | 1.55 | 2.10 |
| 12197 | ლე მანი-სედანი | 1.60 | 2.00 |
| 12198 | ლანსი-სოშო | 1.60 | 2.00 |
| 12199 | ლიონი-ლორიანი | 1.90 | 1.70 |
| 12201 | ნანტი-ვალენსიენი | 1.50 | 2.30 |
| 12202 | ნიცა-ტრუა | 1.50 | 2.30 |
| 12203 | პსჟ-მონაკო | 1.55 | 2.10 |
| 12204 | რენი-ნანსი | 1.60 | 2.10 |
| 12205 | ტულუზი-ლილი | 1.60 | 2.10 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | რედინგი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13002 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.90 | 1.70 |
| 13004 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 2.20 | 1.55 |
| 13007 | ნიუკასლი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13009 | შეფილდი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | პორტსმუთი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ბოლტონი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | არსენალი-უიგანი | 1.90 | 1.70 |
| 13066 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.90 | 1.70 |
| 13068 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.90 | 1.70 |
| 13070 | ფოლკირკი-მოზერუელი | 1.90 | 1.70 |
| 13071 | ჰართსი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 13072 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 1.90 |
| 13073 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 13090 | შტუტგარტი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13091 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13093 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |
| 13094 | მაინცი-კოტბუსი | 1.60 | 2.00 |
| 13096 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 1.70 | 1.90 |
| 13097 | შალკე-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13098 | ბაიერნი-არმინია | 1.90 | 1.70 |
| 13100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13171 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13172 | ბარსელონა-რასინგი | 1.90 | 1.70 |
| 13174 | ბეტისი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13176 | სელტა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13177 | ხეტაფე-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13178 | ტარაგონა-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13179 | ლევანტე-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 13180 | მალიორკა-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13181 | სოსიედადი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 1.90 | 1.70 |
| 13196 | ბორდო-მარსელი | 1.90 | 1.70 |
| 13197 | ლე მანი-სედანი | 2.00 | 1.60 |
| 13198 | ლანსი-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13199 | ლიონი-ლორიანი | 2.10 | 1.55 |
| 13201 | ნანტი-ვალენსიენი | 1.90 | 1.70 |
| 13202 | ნიცა-ტრუა | 1.90 | 1.70 |
| 13203 | პსჟ-მონაკო | 1.90 | 1.70 |
| 13204 | რენი-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13205 | ტულუზი-ლილი | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | რედინგი-ასტონ ვილა | 1.75 | 2.10 |
| 14002 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.02 | 2.90 |
| 14004 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.80 | 2.00 |
| 14007 | ნიუკასლი-ლივერპული | 2.20 | 1.70 |
| 14009 | შეფილდი-ტოტენჰემი | 1.95 | 1.85 |
| 14010 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 1.60 | 2.30 |
| 14011 | პორტსმუთი-სიტი | 1.35 | 2.30 |
| 14012 | ბოლტონი-ფულემი | 1.30 | 2.50 |
| 14013 | არსენალი-უიგანი | 1.03 | 2.90 |
| 14066 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.30 | 2.50 |
| 14068 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.02 | 2.90 |
| 14070 | ფოლკირკი-მოზერუელი | 1.70 | 2.10 |
| 14071 | ჰართსი-ინვერნესი | 1.30 | 2.50 |
| 14072 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 2.10 |
| 14073 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 2.50 | 1.30 |
| 14090 | შტუტგარტი-ვერდერი | 1.95 | 1.85 |
| 14091 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.75 | 2.10 |
| 14092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.65 | 2.10 |
| 14093 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.45 | 2.40 |
| 14094 | მაინცი-კოტბუსი | 1.70 | 2.20 |
| 14096 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 1.40 | 2.40 |
| 14097 | შალკე-ჰერტა | 1.30 | 2.50 |
| 14098 | ბაიერნი-არმინია | 1.05 | 2.90 |
| 14100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.90 | 1.90 |
| 14171 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.40 | 2.40 |
| 14172 | ბარსელონა-რასინგი | 1.08 | 2.90 |
| 14174 | ბეტისი-სევილია | 2.00 | 1.80 |
| 14176 | სელტა-ესპანიოლი | 1.80 | 2.00 |
| 14177 | ხეტაფე-ვალენსია | 1.95 | 1.85 |
| 14178 | ტარაგონა-ოსასუნა | 1.90 | 1.90 |
| 14179 | ლევანტე-უელვა | 1.90 | 1.90 |
| 14180 | მალიორკა-სარაგოსა | 1.90 | 1.90 |
| 14181 | სოსიედადი-რეალი | 2.30 | 1.65 |
| 14183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1.70 | 2.20 |
| 14195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 1.70 | 2.10 |
| 14196 | ბორდო-მარსელი | 1.70 | 2.20 |
| 14197 | ლე მანი-სედანი | 1.42 | 2.40 |
| 14198 | ლანსი-სოშო | 1.60 | 2.30 |
| 14199 | ლიონი-ლორიანი | 1.01 | 2.90 |
| 14201 | ნანტი-ვალენსიენი | 1.60 | 2.30 |
| 14202 | ნიცა-ტრუა | 1.55 | 2.35 |
| 14203 | პსჟ-მონაკო | 1.75 | 2.10 |
| 14204 | რენი-ნანსი | 1.60 | 2.30 |
| 14205 | ტულუზი-ლილი | 1.90 | 1.90 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | რედინგი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ჩელსი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ევერტონი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ნიუკასლი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | შეფილდი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | პორტსმუთი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ბოლტონი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | არსენალი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15066 | აბერდინი-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15068 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15070 | ფოლკირკი-მოზერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | ჰართსი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | შტუტგარტი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | მაინცი-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | შალკე-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | ბაიერნი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ატლეტიკო-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ბარსელონა-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | ბეტისი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | სელტა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | ხეტაფე-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | ტარაგონა-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | ლევანტე-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | მალიორკა-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | სოსიედადი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15196 | ბორდო-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | ლე მანი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15198 | ლანსი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | ლიონი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15201 | ნანტი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | ნიცა-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15203 | პსჟ-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | რენი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15205 | ტულუზი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | რედინგი-ასტონ ვილა | 1.46 | 2.40 |
| 16002 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.01 | 9.00 |
| 16004 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.55 | 2.20 |
| 16007 | ნიუკასლი-ლივერპული | 2.55 | 1.40 |
| 16009 | შეფილდი-ტოტენჰემი | 1.90 | 1.65 |
| 16010 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 1.25 | 3.10 |
| 16011 | პორტსმუთი-სიტი | 1.34 | 2.80 |
| 16012 | ბოლტონი-ფულემი | 1.17 | 4.00 |
| 16066 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.12 | 5.00 |
| 16068 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.09 | 5.00 |
| 16070 | ფოლკირკი-მოზერუელი | 1.55 | 2.10 |
| 16071 | ჰართსი-ინვერნესი | 1.17 | 3.85 |
| 16072 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 1.90 |
| 16073 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 3.70 | 1.20 |
| 16090 | შტუტგარტი-ვერდერი | 1.90 | 1.75 |
| 16091 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.50 | 2.25 |
| 16092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.50 | 2.25 |
| 16093 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.25 | 3.30 |
| 16094 | მაინცი-კოტბუსი | 1.40 | 2.60 |
| 16096 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 1.25 | 3.10 |
| 16097 | შალკე-ჰერტა | 1.17 | 3.80 |
| 16098 | ბაიერნი-არმინია | 1.01 | 8.00 |
| 16100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.75 | 1.90 |
| 16171 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.25 | 3.30 |
| 16174 | ბეტისი-სევილია | 1.90 | 1.70 |
| 16176 | სელტა-ესპანიოლი | 1.65 | 2.00 |
| 16177 | ხეტაფე-ვალენსია | 1.90 | 1.70 |
| 16178 | ტარაგონა-ოსასუნა | 1.90 | 1.70 |
| 16179 | ლევანტე-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 16180 | მალიორკა-სარაგოსა | 1.90 | 1.70 |
| 16181 | სოსიედადი-რეალი | 3.00 | 1.32 |
| 16183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1.42 | 2.60 |
| 16195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 1.50 | 2.25 |
| 16196 | ბორდო-მარსელი | 1.55 | 2.10 |
| 16197 | ლე მანი-სედანი | 1.25 | 3.10 |
| 16198 | ლანსი-სოშო | 1.30 | 3.00 |
| 16199 | ლიონი-ლორიანი | 1.02 | 7.50 |
| 16201 | ნანტი-ვალენსიენი | 1.32 | 2.85 |
| 16202 | ნიცა-ტრუა | 1.36 | 2.60 |
| 16203 | პსჟ-მონაკო | 1.50 | 2.30 |
| 16204 | რენი-ნანსი | 1.30 | 3.00 |
| 16205 | ტულუზი-ლილი | 1.65 | 1.95 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | რედინგი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ნიუკასლი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17009 | შეფილდი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | პორტსმუთი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ბოლტონი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | არსენალი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17066 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | ფოლკირკი-მოზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | ჰართსი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17090 | შტუტგარტი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17091 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | მაინცი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17097 | შალკე-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ბაიერნი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ბარსელონა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ბეტისი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17176 | სელტა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | ხეტაფე-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ტარაგონა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17179 | ლევანტე-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17180 | მალიორკა-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17181 | სოსიედადი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 17196 | ბორდო-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17197 | ლე მანი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17198 | ლანსი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17199 | ლიონი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17201 | ნანტი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17202 | ნიცა-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17203 | პსჟ-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17204 | რენი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17205 | ტულუზი-ლილი | 1.85 | 1.95 |

# დევისის თასი 2007

DAVIS CUP by BNP PARIBAS

ევროაფრიკული ზონის I ჯგუფი. 9-11 თებერვალი. თბილისი

# საქართველო VS პორტუგალია

დევისის თასზე თამაშობს 1994 წლიდან. 50 შეხვედრაში (აქედან 2 ხალიჩაზე) 34 მოგება და 16 წაგება (ხალიჩაზე 1-1)

**რეკორდები**

მატჩების ჯამური რაოდენობა: ირაკლი უშანგიშვილი 44
მატჩები ერთეულებში: ირაკლი უშანგიშვილი 28
მატჩები წყვილებში: ირაკლი უშანგიშვილი 16
მოგებული მატჩები ჯამში: ირაკლი უშანგიშვილი 29
მოგებული მატჩები ერთეულებში: ირაკლი უშანგიშვილი 19
მოგებული მატჩები წყვილებში: ვლადიმერ გაბრიჩიძე, ირაკლი უშანგიშვილი 10-10
საუკეთესო წყვილი: უშანგიშვილი-გაბრიჩიძე — 4 მოგება, 2 წაგება და ლაბაძე-ჩიხლაძე — 4 მოგება, 2 წაგება

**ბოლო ხუთი მატჩი**

ბულგარეთი 4:1 საქართველო
განა 2:3 საქართველო
საქართველო 3:2 სამხრეთ აფრიკა
პოლონეთი 2:3 საქართველო
უნგრეთი 2:3 საქართველო

**შემადგენლობა**

ირაკლი ლაბაძე: 26 წლის. რეიტინგის 171-ე ნომერი. დევისის თასის 24 მატჩში(ხალიჩაზე 3) 20 მოგება და 4 წაგება(ხალიჩაზე 2-1). ერთეულებში 13 მოგება, 2 წაგება(ხალიჩაზე 1-1).

ლადო ჩიხლაძე: 21 წლის. რეიტინგის 542-ე ნომერი. დევისის თასის 18 მატჩში(ხალიჩაზე 6) 8 მოგება და 10 წაგება(ხალიჩაზე 3-3). ერთეულებში 4 მოგება, 7 წაგება(ხალიჩაზე 2-2).

გიორგი ჭანტურია: 17 წლის. ურეიტინგო. დევისის თასზე არ უთამაშია.

გიორგი ხრიკაძე: 18 წლის. ურეიტინგო. დევისის თასზე არ უთამაშია.

კაპიტანი: გელა ელერდაშვილი

ერთი კვირაა, სპორტის სასახლეში საჩოგბურთო ხალიჩაა გაშლილი და სადევისთასო მატჩისთვის სამზადისია გახურებული. დღეს საქართველოსა და პორტუგალიის დაპირისპირებით 2007 წლის სეზონი იხსნება. სამდღიან შეხვედრაში გამარჯვებული პირველ ევროაფრიკულ ზონაში თამაშის უფლებას ერთი წლით შეინარჩუნებს და ამავდროულად ელიტარულ ჯგუფს ერთი ნაბიჯით მიუახლოვდება. საქართველოს ნაკრებმა პირველ ზონაში შარშან აინაცვლა და სადებიუტო სეზონში იქ დამკვიდრება დაუსახავს მიზნად. რეალურადაც რომ შევხედოთ, უმალ ელიტაში გადასვლა წარმოუდგენლად ძნელი უნდა იყოს. პორტუგალიელთა საელიტო შანსებიც რომ მიზერულია, მათი შემადგენლობაც მოწმობს. ასე რომ, ორი მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდის პრინციპული შეხლა დაძაბული უნდა გამოდგეს.

დევისის თასზე თამაშობს 1925 წლიდან. 81 შეხვედრაში (აქედან 9 ხალიჩაზე) 29 მოგება და 52 წაგება(ხალიჩაზე 2-7)

**რეკორდები**

მატჩების ჯამური რაოდენობა: ჟოაო კუნა-სილვა 77
მატჩები ერთეულებში: ჟოაო კუნა-სილვა 53
მატჩები წყვილებში: ჟოაო კუნა-სილვა 24
მოგებული მატჩები ჯამში: ჟოაო კუნა-სილვა 37
მოგებული მატჩები ერთეულებში: ჟოაო კუნა-სილვა 25
მოგებული მატჩები წყვილებში: ემანუელ კოუტო 13
საუკეთესო წყვილი: ემანუელ კოუტო-ბერნარდო მოტა — 6 მოგება, 1 წაგება

**ბოლო ხუთი მატჩი**

პორტუგალია 4:1 სლოვენია
ალჟირი 2:3 პორტუგალია
პორტუგალია 4:1 ესტონეთი
ლუქსემბურგი 4:1 პორტუგალია
პორტუგალია 3:2 მაროკო

**შემადგენლობა**

ფრედერიკო ჟილი: 21 წლის. რეიტინგის 153-ე ნომერი. დევისის თასის 17 მატჩში(ხალიჩაზე 2) 11 მოგება და 6 წაგება(ხალიჩაზე (2-0). ერთეულებში 6 მოგება, 4 წაგება(ხალიჩაზე 1-0).

რუი მაჩადო: 22 წლის. რეიტინგის 891-ე ნომერი. დევისის თასის 11 მატჩში(ხალიჩაზე 1) 3 მოგება, 8 წაგება (ხალიჩაზე 0-1). ერთეულებში 3 მოგება, 7 წაგება(ხალიჩაზე 0-1).

პედრო სოუზა: 18 წლის. რეიტინგის 989-ე ნომერი. დევისის თასის ერთეულთა ერთ მატჩში ერთი წაგება (ხალიჩაზე 0).

გუსტავო ელიაში: 16 წლის. რეიტინგის 929 ნომერი. დევისის თასზე არ უთამაშია.

კაპიტანი: პედრო კორდეირო

# ზონური ამბავი: თვითდამკვიდრების შანსი

## თბილისიდან ელიტა ჯერაც შორს მოჩანს

**მიზნის** მისაღწევად ნაკრების კაპიტანმა გელა ელერდაშვილმა შარშანდელი შემადგენლობა შეკრიბა: ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე, გიორგი ჭანტურია და გიორგი ხრიკაძე. ამ ოთხეულიდან მსოფლიოს კლასიფიკაციაში მხოლოდ ლაბაძე და ჩიხლაძე არიან და მთავარი ტვირთი სწორედ მათ უნდა გადაიტანონ. ირაკლი რეიტინგში 170-ე ადგილზეა, ლადო — 541-ზე.

პორტუგალიელთა პირველი ნომერი ფრედერიკო ჟილი ლაბაძეზე მაღლა, 154-ე საფეხურზე დგას, მეორე ნომრად გამწესებული რუი მაჩადო კი — 891-ზე.

სპეციალისტთა პროგნოზებით, ფავორიტებად მასპინძლები მიიჩნევიან. საკუთარი კედლების ფაქტორს რომ შევეშვათ, სტუმართა საქმეს სწრაფი საფარიც ერთიორად გაართულებს. ორი დღის წინ აკი თავად პორტუგალიელთა კაპიტანმა პედრო კორდეირუმ გვითხრა, ხალიჩაზე თამაში არ გვიყვარს და ეს თქვენთვის სერიოზული უპირატესობა იქნებაო.

აქვე ირაკლი ლაბაძის ტრავმაც ვახსენოთ. ნაკრების ლიდერი მაჯის ტკივილის გამო წლეულს კორტზე ჯერ ერთხელაც არ გასულა. თბილისში მხოლოდ მარცხენა ხელით ითამაშებს, ორშაბათს კი ოპერაციის გასაკეთებლად, ავსტრიაში გაემგზავრება.

**ლადო ჩიხლაძე** გუნდს შეკრების ბოლოსწინა დღეს შეუერთდა, თუმცა, როგორც გუშინდელ ვარჯიშებზე გამოჩნდა, ხალიჩასთან შეჩვევა არ გასჭირვებია.

„ნორმალურ ფორმაში ვარ და, მგონი, საფარსაც ავუღე ალღო — გვითხრა წინასამატჩო ბოლო ვარჯიშის შემდეგ — მომავალი შეხვედრა ჩვენთვის საკმაოდ კარგი შანსია პირველ ზონაში ადგილის შესანარჩუნებლად და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება. პორტუგალიის შემადგენლობიდან მხოლოდ პირველ ნომერ ფრედერიკო ჟილს ვიცნობ. ადრე, 18-წლამდელებში თამაშისას ერთადაც გვივარჯიშია. ცხადია, მაშინ ტურნირებზეც ხშირად შევხვედრივარ, თუმცა ერთმანეთის პირისპირ არასოდეს დავმდგარვართ. ბოლოს კი ჟილის თამაშს არცთუ დიდი ხნის წინ ერთ ბრაზილიურ ტურნირზე ვუყურე. ძლიერი ბიჭია. ამას რეიტინგიც ადასტურებს, მაგრამ განსაკუთრებით გრუნტზე ყოჩაღობს. თბილისში კი არასასურველ საფარზე მოუწევს თამაში. გულშემატკივრის გასახარებლად თავს არ დავზოგავთ. იქნებ ვადაზე ადრეც გავინაღდოთ გამარჯვება“.

დღეს და კვირას პირველ საათზე ერთეულთა ორ-ორი შეხვედრა გაიმართება, შაბათს ოთხ საათზე კი წყვილები გაეჯიბრებიან. კენჭისყრამ სადღეისოდ მეტოქეები ასე დააწყვილა: ლაბაძე — მაჩადო, ჩიხლაძე — ჟილი.

ქართულ-პორტუგალიური დაპირისპირების აბონემენტი 12 ლარი ღირს, ერთდღიანი ბილეთი — 5 ლარი.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ირაკლი ლაბაძე



ლადო ჩიხლაძე

## საქართველო — პორტუგალია დევისის თასზე

1998 წლის 1-3 მაისი. ბრაგა. თიხა

**პორტუგალია 5:0 საქართველო**

ნუნუ მარკეში 6:0 6:3 6:2 ირაკლი კუნჭულია
ჟოაო კუნა-სილვა 6:2 6:3 6:3 ვლადიმერ მარგალიტაძე
ემანუელ კოუტო, ბერნარდო მოტა 7:6 6:1 6:3 მარგალიტაძე, გიორგი სამხარაძე
მარკეში 7:5 6:3 მარგალიტაძე
კუნა-სილვა 6:0 6:3 სამხარაძე

## დევისის თასი 2007
## მსოფლიო ლიგა

DAVIS CUP by BNP PARIBAS

პირველი წრე. 9-11 თებერვალი

| | |
|---|---|
| ჩილე — რუსეთი | ჩეხეთი — აშშ |
| საფრანგეთი — რუმინეთი | შვეიცარია — ესპანეთი |
| გერმანია — ხორვატია | ბელარუსია — შვედეთი |
| ბელგია — ავსტრალია | ავსტრია — არგენტინა |



AFP

# როჯერი მრისხანე არ ყოფილა

**დღეიდან** და კვირის ბოლომდე სადევისთასო ბატალიები თბილისის გარდა მსოფლიოს კიდევ მრავალ ქვეყანაში გახურდება. ყურადღების ცენტრში, რაღა თქმა უნდა, ელიტარული, მსოფლიო ლიგაა და პირველ, ანუ მერვედფინალურ ეტაპზე რამდენიმე მეტად საინტერესო წყვილია.

დევისის თასის გამარჯვებულის სარგო ვერცხლის სასალათის ამჟამინდელი მფლობელები, რუსები ტიტულის დაცვას ჩილეში დაიწყებენ და, სავარაუდოდ, იქვე დაასრულებენ კიდეც, რადგანაც ნიკოლაი დავიდენკო აკლიათ და მარატ საფინი კი დიდი ძალაა, მაგრამ ჩილეში, თანაც თიხაზე, საეჭვოა, მარატი ფერნანდო გონსალესსა და ნიკოლას მასუს მოერიოს.

შვეიცარია — ესპანეთი, ეს შეხლა უკვე სახელობით იწვევდა უდიდეს ინტერესს. როგორია, დევისის თასის ეგიდით როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის შეხლის ხილვა, მაგრამ არ გამოვიდა. ნადალი კი ჩავიდა შვეიცარიაში, მაგრამ თავად დიდმა როჯერმა იუარა თამაში, აქაოდა ავსტრალიური ტრიუმფის შემდეგ გადაღლილი ვარ და ეგეც არ იყოს, ეგ თქვენი დევისის თასი ჩემს წლევანდელ გეგმებში არ შედის, წლეულს როგორმე დიდ სლემს უნდა მოვუყარო თავიო.

ფედერერისგან განსხვავებით, უმთავრეს გუნდურ შეჯიბრს არ უგანეს ზურგი ამერიკელებმა და იანკები ენდი როდიკის, ჯეიმს ბლეიკისა და ძმები ბრაიანების სახით, მართალია, სტუმრად, ჩეხეთში თამაშობენ, მაგრამ ფავორიტებად ითვლებიან.

გვარიანი ჯახი უნდა გამოვიდეს ბელგიაშიც. მასპინძლებს ქსავიე მალისი კი აკლიათ, მაგრამ ძმები როხუსები მაგარ ომს გაუმართავენ ავსტრალიელებს, რომლებიც ევროპას დამრტყმელი ძალებით — ლეიტონ ჰიუიტითა და კრის გუჩიონეთი ესტუმრნენ.

# კინაღამ არ ითვლება

**ქალები**
პარიზი. საფრანგეთი.
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 600 000 $

### პირველი წრე

**ანაბელ მედინა გარიგუესი** (ესპანეთი) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) 6:2 7:5; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — ალისა კორნე (საფრანგეთი) 6:2 6:2

### მეორე წრე

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 3:6 6:2 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:7 6:4 7:6; **დინარა საფინა** (7, რუსეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 2:6 6:2 7:6; **ნადეჟდა პეტროვა** (4, რუსეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1 6:2; **ჩაკვეტაძე** — გარიგუესი 4:6 6:4 6:4

**ქმარს** გაცილებულმა და შესაბამისად, მეორე გვარმოცილებულმა ჟუსტინ ენინმა მძიმედ, მაგრამ მაინც მოიგო სეზონის პირველი მატჩი. საშუალოზე საშუალო დონის ემილი ლუასთან ჟუსტინს რომ არ უნდა გასჭირვებოდა, ნათელი იყო, მაგრამ გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერები ჭინკა ბელგიელს ნამდვილად ჰქონდა გადასალახი და ეს კარგად გამოჩნდა პირველ სეტში, რომელიც ფრანგმა მოიგო. თუმცა, ეს იყო და ეს — მერე ცალკორტა თამაში წავიდა და პარიზში პირველ ნომრად განთესილმა ენინმა დარჩენილ ორ სეტში მეტოქეს ოდენ ოთხი გეიმი დაანება.

გაჭირვებით, ფავორიტ რუსებს უფრო გაუჭირდათ. ტურნირის მესამე ნომერი სვეტლანა კუზნეცოვა ორ საათზე მეტხანს ეომა სლოვენიელ კატარინა სრებოტნიკს და მეტოქის წინააღმდეგობა გადამწყვეტი პარტიის ტაიბრეიკზეღა გატეხა. მსგავსი სურათი ვიხილეთ დინარა საფინასა და ფრანგი კამილ პინის შეხვედრაშიც. ეს პინი წლეულს რუსებს მაგრად უძლიანდება და ამ რამდენიმე კვირის წინათ, ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში, კინაღამ მარია შარაპოვა წააქცია. ახლაც ასე განმეორდა, მაგრამ კინაღამ არ ითვლება და მესამე სეტის ტაიბრეიკზე მაინც ჯაბიანმა დინარამ იძალა.

ესპანელი ანაბელ მედინა გარიგუესის დასამარცხებლად სამი სეტი დასჭირდა ანა ჩაკვეტაძესაც. თანამემამულეთა მსგავსად, პირველი პარტია მანაც წააგო და მერეღა გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა. აი, კიდევ ერთმა რუსმა ნადია პეტროვამ კი იოლად სძლია გერმანელ მარტინა მიულერს.



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შარუნასს ბედი აუ[illegible]

7 თებერვალი

**ატლანტა 85:87 ნიუ ჯერსი**

**ატლანტა:** ლუ (6), ჯონსონი (10), მ. უილიამსი (19), სმიტი (20), რაიტი; **ფაჩულია** (29 წუთი, 10 ქულა, 6 მოხსნა, 1 დაფარება), ჩილდრესი (9), კლაქსტონი (6), რიჩარდსონი (3), მედვედენკო (2), აივი

**ნიუ ჯერსი:** კიდი (9 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), კარტერი (22), რაიტი (6), კოლინზი, მური (19); ჰაუსი (16), ნაჩბარი (8), უილიამსი (4), რობინსონი (2), ბონი (1)

**ტორონტო 113:103 ორლანდო**

**ტორონტო:** ბოში (41), გარბახოსა (15), პარკერი (12), ბარნანი (11), კალდერონი (10 ქულა, 11 პასი), ფორდი (10 ქულა, 11 პასი)

**ორლანდო:** ჰოვარდი (32), ბოგანსი (15), რედიკი (14)

**მინესოტა 121:93 გოლდენ სტეიტი**

**მინესოტა:** დევისი (26), ბლუნტი (22), გარნეტი (17 ქულა, 15 მოხსნა, 10 პასი)

**გოლდენ სტეიტი:** იასიკევიჩუსი (20 ქულა, 8 პასი), ჯექსონი (17), ჰარინგტონი (13)

**დალასი 113:97 მემფისი**

**დალასი:** ნოვიცკი (38 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი, 4 დაფარება, 3 ჩაჭრა), ჰოვარდი (23)

**მემფისი:** გასოლი (29 ქულა, 9 მოხსნა, 4 დაფარება), მილერი (21)

**დენვერი 112:114 ნიუ ორლეანი**

*ძირითადი დრო 103:103*

**დენვერი:** ენტონი (27 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), აივერსონი (22 ქულა, 9 პასი), ილარიო (18), ბლეიკი (14)

**ნიუ ორლეანი:** მეისონი (23), ვესტი (17), ბრაუნი (17), პოლი (15), ჯექსონი (15) ჩანდლერი (10 ქულა, 16 მოხსნა)

**ვაშინგტონი 83:110 სან ანტონიო**

**ვაშინგტონი:** არენასი (29), ბატლერი (15)

**სან ანტონიო:** პარკერი (20), დანკანი (20), ჯინობილი (18)

**ინდიანა 102:103 სიეტლი**

**ინდიანა:** ტინსლი (25), მერფი (22), გრეინჯერი (18)

**სიეტლი:** ალენი (33), უილკოქსი (27)

**კლივლენდი 94:77 კლიპერსი**

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (16 ქულა, 16 მოხსნა), პავლოვიჩი (16), ჰიუზი (15)

**კლიპერსი:** ბრენდი (21), ლივინგსტონი (19), კასელი (14)

**ფილადელფია 92:83 შარლოტი**

**ფილადელფია:** იგუდალა (27), მილერი (13)

**შარლოტი:** ვოლესი (16), ოკაფორი (16)

**ბოსტონი 79:81 მაიამი**

**ბოსტონი:** გომესი (15), შჩერბიაკი (14), ჯეფერსონი (13 ქულა, 16 მოხსნა)

**მაიამი:** ვეიდი (30 ქულა, 9 პასი), კაპონო (19)

ტრავმებმა და ბედის ბორბლის ტრიალმა აღმოსავლეთის ერთ-ერთ ფავორიტ „ნიუ ჯერსი ნეტსს“ უსუსტეს ატლანტიკის დივიზიონშიც კი დააკარგვინა პირველობა და ზედიზედ 4 მარცხის შემდეგ ამ გუნდმა ლიდერობა „ტორონტოს“ დაუთმო, თავად კი აღმოსავლეთის გაერთიანებულ ცხრილში მე-9 პოზიციაზე დაიხია.

ნიუჯერსელებს რამდენიმე დღის წინ უკვე წაეგოთ არცთუ ძლიერ „ატლანტასთან“ და ახლა კიდევ ერთ მარცხს ველარ დაუშვებდნენ. ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“ კვლავ ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ „ნიუ ჯერსი“ პირადად ვინს კარტერმა იხსნა, ვინაც დროის ამოწურვამდე 7,6 წამით ადრე კაუჭა ორქულიანი ჩააგდო და თავისი გუნდი 86:85 დააწინაურა, რამდენიმე წამში კი საკუთარ ფარზე ატლანტელი ჯერემი რიჩარდსონის აცილებული მოხსნა და ორი ჯარიმიდან ერთი გამოიყენა.

ატლანტიკის დივიზიონში მორჭმით გაბატონებული „ტორონტო“ კი გამარჯვებებს დანატრებული დამშეული კაცივით ხარბად ჭამს მეტოქეებს. ახლა აღმოსავლეთის ყოფილი ლიდერი „ორლანდო“ შემოეჭამა. ახალი წლის შემდეგ ეს კანადური კლუბის მე-13 გამარჯვებაა მე-18 შეხვედრაში.



AFP

„ტორონტოს“ 8 გამწევი მოთამაშიდან 4 ევროპელია — სლოვენიელი ნესტეროვიჩი, იტალიელი ბარნანი და ესპანელები — გარბახოსა და კალდერონი. კიდევ ერთი, ენტონი პარკერი ევროპაში ჩამოქნილი ამერიკელია. გუნდს კი ამერიკელი სუპერთავდამსხმელი, 208-სანტიმეტრიანი კრის ბოში ლიდერობს, ვინაც კვლავ დაამტკიცა, რომ ოლ სტარში აღმოსავლელი ვარსკვლავების ძირითად ხუთეულში შემთხვევით არ მოხვედრილა და ასევე სოლსტაროდ გამზადებულ ორლანდოელ მეფარეს, 211-სანტიმეტრიან დუაიტ ჰოვარდს დიდი ჭიდაობა გაუმართა. ამ თამაშში ორივემ კარიერის რეკორდი დაამყარა, ტორონტოელმა 41 ქულა მიითვალა, ორლანდოელმა — 32, გამარჯვება კი პირველის გუნდს შეხვდა.

ამ დივიზიონის კიდევ ერთ წარმომადგენელს, საცოდავ „ბოსტონ სელტიქსს“ ვერაფერი შველის — „კელტებმა“ ჩემპიონ „მაიამის“ პირველი მეოთხედი 27:17 კი მოუგეს, მაგრამ მეტის გასაკეთებლად და მცირე სასწაულის ჩასადენად რესურსი არ ეყოთ და ზედიზედ მე-16 მატჩი დათმეს.

ახლა დასავლეთზე: ლეგენდარული დონ ნელსონის „გოლდენ სტეიტი“ ახერხებს და პლეი ოფისთვის მებრძოლ გუნდების გაფართოებულ სიაში ადგილს ინარჩუნებს, მაგრამ ისე ყოჩაღადაც ვერ გამოიყურება, რომ დასავლეთის რვა საუკეთესოს შორის მოხვედრა სათუოდ არ გაიხადოს. „გოლდენ სტეიტს“ კვლავ დაემტვრა მრავალტანჯული გამთამაშებელი და ლიდერი ბაირონ დევისი, რომლის ადგილიც ხუთეულში შარუნას იასიკევიჩუსმა დაიკავა. ხელბასრ ლიტველს პრაქტიკულად პირველად მიეცა თავისი სიყოჩაღის წარმოჩენისა და დამტკიცების საშუალება, ჰოდა, მანაც 20 ქულა და 8 პასი გააკეთა, მაგრამ, რად გინდა, თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და „გოლდენ სტეიტი“ უშუალო კონკურენტთან, ასევე პლეი ოფისთვის მებრძოლ „მინესოტასთან“ 28 ქულით შერცხვა. „მინესოტას“ ლიდერმა კევინ გარნეტმა წლეულს მეორე სამმაგი დუბლი შეასრულა და თავის გუნდს ბოლო ხუთ თამაშში პირველად მოაგებინა.

პლეი ოფისთვის მოდავე კიდევ ორი გუნდის — „ნიუ ორლეანისა“ და „დენვერის“ დავა პირველმა მოიგო. „დენვერს“ კი ვერც ალენ აივერსონის გამოჯანმრთელებამ და მისმა 22-ქულიანმა და 9-პასიანმა დახმარებამ უშველა და ვერც კიდევ ერთ სუპერვარსკვლავ კარმელო ენტონის 27-ქულიანმა შემოწირულობამ. „ნაგეთსმა“ ზედიზედ მესამე, ბოლო 10 მატჩში კი მე-7 წააგო და მოგება-წაგებათა ბალანსი გაიმინუსა.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკი** | | | |
| ტორონტო | 26 | 23 | 53,1 |
| ნიუ ჯერსი | 23 | 27 | 46,0 |
| ნიუ იორკი | 22 | 28 | 44,0 |
| ფილადელფია | 17 | 33 | 34,0 |
| ბოსტონი | 12 | 36 | 25,0 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 29 | 18 | 61,7 |
| ჩიკაგო | 28 | 21 | 57,1 |
| კლივლენდი | 28 | 21 | 57,1 |
| ინდიანა | 26 | 23 | 53,1 |
| მილუოკი | 19 | 30 | 38,8 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ვაშინგტონი | 28 | 20 | 58,3 |
| ორლანდო | 25 | 25 | 50,0 |
| მაიამი | 24 | 25 | 49,0 |
| ატლანტა | 18 | 30 | 37,5 |
| შარლოტი | 18 | 31 | 36,7 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 40 | 9 | 81,6 |
| სან ანტონიო | 33 | 16 | 67,3 |
| ჰიუსტონი | 31 | 17 | 64,6 |
| ნიუ ორლეანი | 22 | 27 | 44,9 |
| მემფისი | 12 | 38 | 24,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 32 | 17 | 65,3 |
| დენვერი | 23 | 24 | 48,9 |
| მინესოტა | 23 | 26 | 46,9 |
| პორტლენდი | 20 | 30 | 40,0 |
| სიეტლი | 18 | 31 | 36,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 39 | 10 | 79,6 |
| ლეიკერსი | 30 | 19 | 61,2 |
| კლიპერსი | 24 | 25 | 49,0 |
| გოლდენ სტეიტი | 23 | 27 | 46,0 |
| საკრამენტო | 20 | 26 | 43,5 |

ბიატლონი

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### ანტჰოლც-ანტერსელვა. იტალია. 3-11 თებერვალი

# შვედური მიქსტი



AFP ანთოლც-ანტერსელვადან

ჰელენა იონსონი, ანა კარინ ოლოფსონი, ბიორნ ფერი და კარლ იუჰან ბერგმანი — ამ ოთხეულმა ბიატლონის და შვედური სპორტის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა და იტალიაში მიდმინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე შერეული ესტაფეტა მოიგო.

შვედების გამარჯვებას საფუძველი ქალებმა და, პირველ რიგში, რაღა თქმა უნდა, ოლოფსონმა ჩაუყარეს. ანა კარინმა, რაც წინა დღეებში დაკარგა, ახლა აინაზღაურა. მართალია, სლოვენიელი ქალები შვედებს კვალში ედგნენ, მაგრამ ოლოფსონისთვის მთავარი ის იყო, რომ მან თავის თანამემამულე მამაკაცებს ფრანგებთან და ნორვეგიელებთან მოუპოვა გვარიანი ფორა, ხოლო გერმანელები და რუსები, სულაც უზარმაზარი უპირატესობით ჩამოიტოვა.

რუსმა ქალებმა შვედებთან სამ წუთზე მეტი წააგეს, გერმანელებმა კი ორი წუთი და, მართალია, მესამე ეტაპზე მიხაელ გრაისმა თითქმის შეუძლებელი შეძლო და ჩამორჩენა 40 წამამდე დაიყვანა, ეს იყო და ეს - გერმანელები ეგრეც ველარ ჩაერთვნენ მედლებისთვის ბრძოლაში.

ნორვეგიელებმა კი, ალბათ, ძალიან ინანეს, რომ დიად ოლე ეინარ ბიორნდალენს დასვენების საშუალება მისცეს და ბოლო ეტაპზე ფროდე ანდერსენი დააყენეს. პირველი სასროლეთის შემდეგ ფროდე თითქოსდა მიუახლოვდა ბერგმანს, მაგრამ შვედმა უშეცდომოდ ისროლა, თავად ანდერსენს კი სამი დამატებითი ვაზნა დასჭირდა და ბერგმანს ვილა ჩიოდა, შეუდარებელი რაფაელ პუარეც მიუწვდომელზე გაექცა.

ფრანგებმა ჩვეულ სტილში, პრაქტიკულად იდეალური სროლით მოიპოვეს ვერცხლის მედლები. ფლორენს ბევერელ-რობერმა, სანდრინ ბეილიმ, ვინსენ დეფრანსმა და პუარემ ჯამში 40 სამიზნე ისე დაამსხვრიეს, მხოლოდ ორი დამატებითი ვაზნა იხმარეს და ეს მაშინ, როდესაც გერმანელებმა, დამატებით ვაზნებს ვი დათვლის, სამი საჯარიმო წრეც დაარტყეს.

### შერეული ესტაფეტა

**2X6 + 2X7,5 (4X2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. შვედეთი (იონსონი, ოლოფსონი, ფერი, ბერგმანი | 1 სთ. 20 წთ. 0,47 წმ (0 საჯარიმო წრე, 13 დამატებითი ვაზნა) |
| 2. საფრანგეთი (ბევერელ-რობერი, ბეილი, დეფრანსი, პუარე) | +27,2 წმ (0+11) |
| 3. ნორვეგია (ბერგერი, მერკვე, სვენდსენი, ანდერსენი) | +36,4 (0+11) |
| 4. სლოვენია | +1.11,1 |
| 5. გერმანია | +1.24,2 |

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### არე. შვედეთი. 3-17 თებერვალი



AFP არედან

დანიელ ალბრეხტი

### კაცები

**სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება + სლალომის 1 ცდა)**

| | |
|---|---|
| 1. დანიელ ალბრეხტი (შვეიტარია) | 2 წთ. 28,99 წმ. (1.37,66+51,33 ) |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2.29,07 (1.38,24+50,77 ) |
| 3. მარკ ბერთოდი (შვეიცარია) | 2.29,23 (1.37,94+51,27 ) |
| 4. დიდიე დე ფაგო (შვეიცარია) | 2.29,50 (1.37,64+51,86 ) |
| 5. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 2.29,59 (1.36,84+52,77 ) |

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი



AFP ვანკუვერიდან

ვანკუვერელ კევინ ბიექსას ჩიკაგოელი კარლ სტიუარტი მსაჯების თვალწინ შემოელახა

7 თებერვალი

**ბუფალო 3:2 ოტავა**

*0:0 2:1 1:1*

1:0 ვანეკი (32), 1:1 მაკამონდი (33), 2:1 აფინოგენოვი (38), 2:2 შეფერი (44), 3:2 ვანეკი (56)

**დეტროიტი 4:2 ფინიქსი**

*0:1 2:1 2:0*

0:1 ნოლანი (10), 1:1 ლანგი (25), 2:1 ზეტერბერგი (37), 2:2 დოუნი (40), 3:2 ზეტერბერგი (44), 4:2 დაციუკი (59)

**ვანკუვერი 0:3 ჩიკაგო**

*0:0 0:1 0:2*

0:1 ოკუანი (37), 0:2 ვრბატა (60), 0:3ჰავლატი (60)

**ანაჰაიმი 2:3 სან ხოსე**

*0:0 1:1 1:2*

0:1 ჩიჩუ (30), 1:1 სელიანე (35), 2:1 შ. ტორნტონი (41), 2:2 ჩიჩუ (51), 2:3 მიხალეკი (57)

**აილენდერსი 2:0 ფილადელფია**

*1:0 1:0 0:0*

1:0 კოზლოვი (9), 2:0 შატანი (24)

ველორბოლა

# ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები
## ტიტული, რომელსაც ლენდისი ველარ დაიცავს



AFP

**გუშინ** 8 თებერვალი იყო და სწორედ ამ დღეს საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტოს ბოლო და გაუსაჩივრებელი განაჩენი უნდა გამოეტანა შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ სკანდალური გამარჯვებულის, ამერიკელი ფლოიდ ლენდისისთვის და ამით წერტილი დაესვა ყბადაღებული, უსაშველოდ გაწელილი საქმისთვის.

„ის, რომ დაპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა, არ ნიშნავს, რომ ადამიანი ეგრევე დამნაშავედ ჩავთვალოთ. საჭიროა ბრალდებულის უფლებების დაცვა“ — განაცხადა ფრანგული ანტისადოპინგო სააგენტოს თავკაცმა ფილიპ ბორდრიმ და დაამატა — ჩვენი განაჩენი სამართლიანი იქნებაო.

ბორდრის ურჩევდნენ, რომ დალოდებოდა მისი ამერიკელი კოლეგების გადაწყვეტილებას, მაგრამ ფრანგმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ის, რაც ჩვენს მიწაზე მოხდა, ჩვენი განსასჯელიაო და 8 თებერვალი აღარ გადათქვა, მაგრამ ბოლოს ისე მოხდა, რომ მაინც გადათქვა. უფრო სწორად, ფრანგებმა ლენდისს განაჩენი გამოუტანეს და არც გამოუტანეს — ორმხრივი შეთანხმების შედეგად გადაწყდა, რომ საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტო ბოლო სიტყვას ივნისის ბოლოს, ანუ ზედ 2007 წლის „ტურ დე ფრანსის“ დაწყების წინ იტყვის. მანამდე ლენდისს კვლავაც შეუძლება ატაროს შარშანდელი „ტურის“ გამარჯვებულის წოდება. ოღონდაც ამ ტიტულის დაცვის შანსი არ ექნება — ხსენებული ორმხრივი შეთანხმებისას ისიც გადაწყდა, რომ ამერიკელი წლევანდელ სეზონში საფრანგეთის ტერიტორიაზე ჩატარებულ ვერც ერთ, რაგინდარა დონის შეჯიბრში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

ტრამპლინიდან ხტომა

## მსოფლიოს თასი
### კლინგენტალი. გერმანია



AFP კლინგენტალიდან

გრეგორ შრილენცაუერი

**დიდი ტრამპლინი. HS 140**

| | |
|---|---|
| 1. გრეგორ შრილენცაუერი (ავსტრია) | 289,8 ქულა (142,5მ.%138,5მ.) |
| 2. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 280,3 (134,5%141,5) |
| 3. ადამ მალიში (პოლონეთი) | 272,1 (137,5%134,5) |
| 4. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) | 270,7 (134,0%137,5) |
| 5. მიხაელ ურმანი (გერმანია) | 268,5 (137,5%132,5) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 987 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 901 |
| 3. ადამ მალიში (პოლონეთი) | 817 |
| 4. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 756 |
| 5. ანდრეას კუტელი (შვეიცარია) | 617 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორჭილიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge